საქართველოს უფროსი ორგანო კომპარტიისა შეერთდით

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი, 10 მაისი 1937 წ. № 105 (4906)

დღეს გაზეთშია:

— ახლებურად გარდავქმნათ საბჭოების მუშაობა (მეთაური).
— სსრ კავშირის სახკომსაბჭოში.
— თბილისის მე-16 საქალაქო პარტკონფერენციაზე.
— ლ. თიკანაძე — ცრუფრიადოსნობის წინააღმდეგ (ფელეტონი).
— აპარატთანაა გენერალი მიახა.

უცხოეთში
— ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდება.
— იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხატო საბჭოთა-იაპონიის ურთიერთობის შესახებ.
— ბლიუმის გამოსვლა დეპუტატთა პალატაში.

ერთვნული ბიბლიოთეკა

ახლებურად გარდავქმნათ საბჭოების მუშაობა

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპები და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მითითებანი ჩვენი საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაკებისაგან მოითხოვს, რომ მათ გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობის ხარისხი, აღმოფხვრან ბიუროკრატიზმი, საბჭოების ხელმძღვანელნი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნამდვილი ორგანიზატორები უნდა გახდნენ. ხოლო ვინც ამას ვერ შესძლებს, იმას ხალხი მმართველობის საქმეს ჩამოაშორებს.

„ჩვენში ცოტა როდია — სთქვა ამხანაგმა სტალინმა როი ჰოვარდთან საუბრის დროს — ისეთი დაწუსებულება, რომელიც ცუდად მუშაობს ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლების ესა თუ ის ადგილობრივი ორგანო ვერ ახერხებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ამა თუ იმ მრავალფეროვან და სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ააშენე თუ არა შენ კარგი სკოლა? გააუმჯობესე თუ არა საბინაო პირობები? ბიუროკრატი ხომ არა ხარ შენ? დაგეხმარე თუ არა შენ გაგეხადა ჩვენი შრომა უფრო ეფექტიური, ჩვენი ცხოვრება უფრო კულტურული? ასეთი იქნება ის კრიტერიუმები, რომლებითაც მილიონობით ამომრჩეველნი მიუდგებიან კანდიდატებს, უკუაგდებენ უვარგისთ, ამოშლიან მათ სიიდან, წამოსწევენ და წამოაყენებენ მათ კანდიდატურებს. დიახ, საარჩევნო ბრძოლა გაცხოველებული იქნება. იგი იწარმოებს მრავალი უმწვავესი საკითხის ირგვლივ, — უმთავრესად პრაქტიკული, ხალხისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხების ირგვლივ. ჩვენი ახალი საარჩევნო სისტემა ააშოძრავებს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, აიძულებს მათ გააუმჯობესონ თავისი მუშაობა. სსრ კავშირში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები მოსახლეობის ხელში შოლტი იქნება ხელისუფლების ცუდად მომუშავე ორგანოების წინააღმდეგ".

ამ დიადი ახალი არჩევნების მნიშვნელობას, ამ ბოლშევიკური შოლტის ძალას უკვე ბევრი ჩვენი მუშაკი გრძნობს, ისინი გაკხოველებით ემზადებიან ამ დიდი პოლიტიკური ამოცანისათვის, ამოშშებენ თავიანთ მუშაობას ხელადის მითითების საფუძველზე. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი ორგანოების ისეთი დოყლაპია ხელმძღვანელები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა ამხანაგ სტალინის მითითებიდან და ისევ ჭველებურად განაგრძობენ ცუდად მუშაობას.

განა ამით არ იბისნება, რომ თუმც ხელადის ამ მითითებიდან წელიწადზე მეტი გავიდა, ხოლო სტალინური კონსტიტუციის მიღებიდან ნახევარი წელიწადი, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ სამარცხვინო ჩამორჩენაში იმყოფებიან, არღვევენ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს, მოწუვეტილი არიან მასებს, ცუდად ხელმძღვანელობენ და არა საკმაოდ იბრძვიან მშრომელთა მატერიალური და კულტურული შეგომარეობის გასაუმჯობესებლად. საბჭოების მუშაობაში ჩაბმული არ არიან მშრომელთა ფართო მასები. არ არის გამოყენებული მშრომელთა ინიციატივა, მშრომელთა რევოლუციური ენერგია, გაშლილი არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა.

შაშიანის სასოფლო საბჭოში (გურჯაანის რაიონი) არ მუშაობდა არცერთი სექცია, არცერთი სადეპუტატო ჯგუფი, არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. საბჭო არ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობებს, რის შედეგადაც კოლმეურნეობებში დაეცა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეობების მესვეურებმა ხელი მიჰყვეს საკოლმეურნეო დოვლათის განიავებას და კოლმეურნეობები დაშლის პირას მიიყვანეს. ყოველივე ეს ხდებოდა რაიაღმასკომის ცხვირის წინ რაიაღმასკომი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო მთელ რიგ სასოფლო საბჭოებს, რის გამო ისინი თვითდინებაზე იყვნენ დამყარებულნი, ბევრ მათგანს არავითარი სამუშაო გეგმა არ ჰქონდა. უგეგმოდ მუშაობს გურჯაანის ქალაქის საბჭოც, ბაკურციხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ არც კი იცის, საჭიროა თუ არა საბჭოს გეგმა ჰქონდეს. გურჯაანის რაიონში დემოკრატიის დარღვევის ყოველად უმსგავსო ფაქტები გვაქვს. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებად წლობით მუშაობდნენ ისეთი პირები, რომლებიც საბჭოს წევრებიც კი არ იყვნენ.

ცუდად არის საქმე ჩხარის რაიონშიაც. რაისაბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, გადაგვარებული ალ. ფანჩულიძის მეთაურობით მიწყვანი, მთელი რიგი სარაიონო ორგანოები და სასოფლო საბჭოები დანავეიანებული იყო კლასობრივი მტრებით, რის შედეგადაც მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაეცა შრომის ნაყოფიერება, იკლო კოლმეურნეობათა შემოსავალმა. გადაგვარებული ადამიანები ამხანაგებად მოითხოვენ ხელი ავიღოთ პროგრამის ნაწილზე; მეორე მხრივ, ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ გორემოებებით ჩინი საქმიანობის გასაღრმავებლად. მინდა განვიმეორო ჩემ მიერ უკვე ნათქვამი და განვაცხადო, რომ ეს პროგრამა ერთადერთია პროგრამაა, რომელიც უმრავლესობას მთავრობასთან აერთიანებს. არცერთი ღონისძიება არ შეიძლება გატარდეს ამ საერთო პროგრამის ფარგლებს გარეშე. იგი ავალდებულებს სახალხო ფრონტის თვითეულ პარტიას".

ბლიუმმა შემდეგ აღნიშნა, რომ პარლამენტის ახლანდელი სესიის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება კანონპროექტები სასოფლო-სამეურნეო დავალიანების მოწესრიგების საკითხზე და მოსუცთათვის დახმარების გაწევაზე.

თითქმის მთელი პრესა გამოსთქვამს კმაყოფილებას ბლიუმის გუშინდელი გამოსვლის გამო. მაგრამ მემარჯვენე გაზეთები კითხვას იძლევიან: „შესაფერისი იქნება თუ არა მთავრობის საქმეები მისი ზომიერი სიტყვებისა" („ჟურნალი") და ყურადღებენ თუ არა მის სიტყვებს პარლამენტის კედლების გარეთ („მატენი"). „პტი პარიზიენი" და მთელი რიგი სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ სიტყვამ არაერთხელ გამოიწვია მჭახარე ტაში არა მარტო უმრავლესობისაც, არამედ ცენტრის დეპუტატებისაც.

„ლუმანიტე" აკრიტიკებს სიტყვას უმთავრესად იმისათვის, რომ ბლიუმს არ სურს გამოიყენოს სახალხო ფრონტის პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსიური სისტემის რეფორმას და რომელიც შესაძლებელს გახდიდა უზრუნველყოფილიყო პენსიები მოხუცი მშრომელებისათვის და საზოგადოებრივ სამუშაოთა გაშლილი გეგმა (და არა შეკვეცილი პროგრამა. გათვალისწინებული ბლიუმის სიტყვაში).

მდგომარეობა ესპანეთში

„მუნდო ობრერო" კატალონიის ამბებისადმი მიძღვნილ სტატიის შესახებ

ვალენსია, 7 მაისი (საქდესი). კატალონიის ამბებისადმი მიძღვნილ ოთხშაბათ სტატიაში „მუნდო ობრერო" ჩერდება იმ საზიზღარ როლზე, რომელიც ამ ამბებში ითამაშეს შინიბულმა ფაშისტებმა, ტროცკისტებმა და ეგრეთწოდებულმა „უკონტროლო ელემენტებმა". გაზეთი აღნიშნავს, რომ „დურუტი რომ ცოცხალი ყოფილიყო და მათ იგი რომ არ მოეკლათ, მაშინ თვითონ იგი მოსპობდა მათო". ესპანეთის ხალხი აღშფოთებით უყურყოფს იმ აზრს, რომ ეს ადამიანები, ეს მკვლელები შეიძლება ეკუთვნოდნენ ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს. ისინი უფრო საშიში არიან, ვიდრე ფაშისტი ჯარისკაცები და უფრო დამნაშავენი, ვიდრე ფაშისტი ავიატორები, რომლებმაც ყუმბარები დაუშინეს გერნიკას: დიდი არ არის განსხვავება მათსა და მათ დამცველებს შორის. მთელი ხალხი მთავრობის მხარეზეა. ესპანეთის კომუნისტური პარტია უცხადებს მთავრობას, რომ იგი მზად არის უყოყმანოდ დაუჭიროს მას მხარი. გამარჯვება მოითხოვს, სწერს გაზეთი, რომ შეუბრალებლად გავუსწორდეთ მოღალატეებს.

„მუნდო ობრერო" სტატიაში „ტროცკისტები მუშაობენ", სწერს, რომ ფაქტიურად ტროცკისტული ორგანოს „ლა ბატალიას" ფურცლებზე გაისმა სიგნალი ამ ამბებისაკენ და რომ კატალონიის ამბებში პოუმი წარმოადგენს ერთერთ მთავარ წამქეზებელს. „მუნდო ობრერო" მოითხოვს, რათა ტროცკისტების მიმართ მთელი სისასტიკით იქნას გამოყენებული კანონი.

„ტროცკისტად იწოდებოდე, ეკუთვნოდე ამ ბანდებს, — აღნიშნავს „მუნდო ობრერო", იმას ნიშნავს, რომ იდგე იმ მკვლელთა რიგებში, რომლებიც კატალონიაში მოქმედებდნენ. თავი გავუსრისოთ მთელს ესპანეთში ამ საზიზღარ ქვეწარმავალს, რომელსაც სურს თავისი შხამით მოსწამლოს მთელი მშრომელი ხალხი".

წესკოვის მშრომელნი აღტაცებით შეხვდნენ რესპუბლიკური ესპანეთის დელეგაციას, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში საპირველმაისო დემონსტრაციაზე დასასწრებლად. დელეგაციაში შედიან სოციალისტები, კომუნისტები. ანარქისტები და უპარტიოები, სხვადასხვა ფრონტზე ბრძოლის მონაწილენი. დელეგაციას მეთაურობენ ათასეულის კომისარი, გალისიელი გლეხი ფრანსისკო გაიოსო, და ლეიტენანტი ხოზე ალკალა ზამორა — ესპანეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის შვილი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ფრანსისკო გაიოსო და ხოზე ალკალა ზამორა მოსკოვში, ლენინგრადის ვაგზალზე.

(„სოიუზფოტო")

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდება

ვალენსია, 7 მაისი (საქდესი). „ფრენტე როხო" აქვეყნებს ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდებას: ბარსელონასა და კატალონიის ზოგიერთ სხვა ადგილებში მომხდარი ამბები, ნათქვამია მოწოდებაში, ნიშნავს, რომ „ზოგიერთი ელემენტები, რომლებიც არიან გამცემნი ესპანეთის ხალხის ერთიანობისა, ანტიფაშიზმის იდეისა და იარაღი მუსოლინის, ჰიტლერისა და ფრანკოს გეგმებისა, პროვოკაციულად იყენებენ სიძნელეებს ზურგში, რათა შეასუსტონ ჩვენი სამხედრო მდგომარეობა". „რესპუბლიკის მთავრობამ, —აღნიშნულია შემდეგ მოწოდებაში, — მიიღო ქმედი ღონისძიებანი ამ უსაზიზღრესი გამცემლობის წინააღმდეგ. პოლიტბიურო, ისე როგორც ამას იზამენ ყველა მშრომელნი და ესპანეთის ყველა ანტიფაშისტი, აღშფოთებით სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამ საშინელ დანაშაულს".

კომპარტია მოუწოდებს ყველა თავის წევრს და ესპანეთის მთელ ხალხს მჭიდროდ ითანამშომლონ რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან, რათა სწრაფად აღდგენილ იქნეს რევოლუციური წესრიგი და დაუფლობლად მოსპობილ იქნენ შეთქმულნი ზურგში. „ყველაფერი ეს საჭიროა,—ხაზგასმით არის აღნიშნული მოწოდებაში,—როგორც წინამძღვარი სახალხო არმიის ძლევამოსილი შეტევისა. ყველა ფრონტზე და ესპანეთის გაწმენდისა და დამსყრობელებისა და რესპუბლიკის მტრებისაგან".

◇ ◇ ◇

ბლიუმის გამოსვლა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 8 მაისი (საქდესი). გუშინ, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მთავრობის საერთო პოლიტიკის საკითხზე ინტერპელაციების განხილვის დროს, სიტყვა წარმოსთქვა პრიმიერმა ბლიუმმა. შეეხო რა სოციალური კანონმდებლობის პროექტის განხორციელებაში „შესვენების" საკითხს, ბლიუმმა, მოაგონა პალატას, რომ მთავრობამ უკვე გამოსთქვა მოსაზრებანი, რომლებიც ამართლებენ ამ „შესვენებას". სახალხო ფრონტის პროგრამის საკითხზე ბლიუმმა განაცხადა: „მემარჯვენენი ჩვენგან მოითხოვენ ხელი ავიღოთ პროგრამის ნაწილზე; მეორე მხრივ, ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ გორემოებებით ჩინი საქმიანობის გასაღრმავებლად. მინდა განვიმეორო ჩემ მიერ უკვე ნათქვამი და განვაცხადო, რომ ეს პროგრამა ერთადერთია პროგრამაა, რომელიც უმრავლესობას მთავრობასთან აერთიანებს. არცერთი ღონისძიება არ შეიძლება გატარდეს ამ საერთო პროგრამის ფარგლებს გარეშე. იგი ავალდებულებს სახალხო ფრონტის თვითეულ პარტიას".

ბლიუმმა შემდეგ აღნიშნა, რომ პარლამენტის ახლანდელი სესიის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება კანონპროექტები სასოფლო-სამეურნეო დავალიანების მოწესრიგების საკითხზე და მოსუცთათვის დახმარების გაწევაზე.

თითქმის მთელი პრესა გამოსთქვამს კმაყოფილებას ბლიუმის გუშინდელი გამოსვლის გამო. მაგრამ მემარჯვენე გაზეთები კითხვას იძლევიან: „შესაფერისი იქნება თუ არა მთავრობის საქმეები მისი ზომიერი სიტყვებისა" („ჟურნალი") და ყურადღებენ თუ არა მის სიტყვებს პარლამენტის კედლების გარეთ („მატენი"). „პტი პარიზიენი" და მთელი რიგი სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ სიტყვამ არაერთხელ გამოიწვია მჭახარე ტაში არა მარტო უმრავლესობისაც, არამედ ცენტრის დეპუტატებისაც.

„ლუმანიტე" აკრიტიკებს სიტყვას უმთავრესად იმისათვის, რომ ბლიუმს არ სურს გამოიყენოს სახალხო ფრონტის პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსიური სისტემის რეფორმას და რომელიც შესაძლებელს გახდიდა უზრუნველყოფილიყო პენსიები მოხუცი მშრომელებისათვის და საზოგადოებრივ სამუშაოთა გაშლილი გეგმა (და არა შეკვეცილი პროგრამა. გათვალისწინებული ბლიუმის სიტყვაში).

აპარატთანაა გენერალი მიახა

ცენტრალური ფრონტის ჯარების სარდლის გენერალ მიახას რადიოლაპარაკი ესპანეთის დელეგაციის წევრებთან სსრ კავშირში.

გუშინ საღამოს „იზვესტიის" რედაქციაში მოვიდა ესპანეთის დელეგაციის (სსრ კავშირში) თავმჯდომარე ფრანსისკო გაიოსო, რომელიც აქედან რადიო-ტელეფონით ესაუბრა გენერალ მიახას. ფრანსისკო გაიოსოსთან ერთად რედაქციაში მოვიდა ესპანეთის დელეგაციის წევრი ხოზე ალკალა ზამორა კასტილია.

რადიო-ტელეფონმა „იზვესტიის" რედაქცია დაუკავშირა შტაბის შენობასთან მადრიდში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა გენერალი მიახა. ფრანსისკო გაიოსო და ხოზე ზამორა ცალ-ცალკე ესაუბრნენ მას „იზვესტიის" რედაქციის საათარაკოდან ნახევარი საათის განმავლობაში. ქვემოთ მოგვყავს ამ ლაპარაკის ჩანაწერი.

„იზვესტია": გენერალი მიახა ხართ? ლაპარაკობს „იზვესტიის" რედაქცია. ჩვენ ტელეფონთან მოვიწვიეთ ესპანეთის დელეგაციის (სსრ კავშირში) თავმჯდომარე ფრანსისკო გაიოსო და ლეიტენანტი ხოზე ალკალა ზამორა. მათ სურთ გითხრან რამდენიმე სიტყვა დელეგაციის სახელით.

მიახა: სთხოვეთ მოვიდნენ აპარატთან.

გაიოსო: ჩემო გენერალო, აპარატთან ვარ ესპანეთის დელეგაციის (სსრ კავშირში) თავმჯდომარე ფრანსისკო გაიოსო. ნება მომეცით მოგახსენოთ. ვასრულებთ რა სსრ კავშირში ჩვენ გამოგვგავნილ ამხანაგთა ნებისყოფას, ჩვენ ფრიად დაწვრილებით ვეცნობით საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას. ამ დღეების განმავლობაში ჩვენ დავყავით ბევრ სამრეწველო საწარმოში, ვესაუბრეთ ასობით მუშებს, მუშა-ქალებს, ინტელიგენტებს. საბჭოთა კავშირის მშრომელნი არა ერთხელ გვთხოვდნენ გადმოგცეთ თქვენ, ჩემო გენერალო, მათი მგზნებარე სალამი.

მიახა: ჩემი სახელით მადლობა გადაეცით საბჭოთა კავშირის მშრომელებს. იყავით თუ არა თქვენ 1 მაისს წითელ მოედანზე?

გაიოსო: ოო, დიახ, ჩემო გენერალო, და ამ დღეს ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ! ჩვენ ვხედავდით სოციალიზმის ქვეყნის დიად არმიას, ჩვენ ვხედავდით ასი ათასობით დემონსტრანტებს. ჩემო გენერალო, როდესაც დემონსტრაცია დამთავრდა, სტალინი ჩამოვიდა მავზოლეის ტრიბუნიდან და მოგვესალმა ესპანეთის დელეგაციას. მან ხელი ჩამოგვართვა და გადაგვეხვია.

მიახა: მე შემოგვიტარით თქვენ. გადაეცით ჩემი და მთელი ჩვენი არმიის სახელით დიდი მხურვალე სალამი ამხანაგ სტალინს. ვიმეორებ— გადაეცით მხურვალე სალამი ამხანაგ სტალინს!

ასეთივე ძმური სალამი გადაეცით წითელ არმიას, მის მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, მეომრებს.

გაიოსო: თქვენი ბრძანება, ჩემო გენერალო, შესრულებული იქნება. მას დაკმაყოფილებას ესპანეთის მთელ მებრძოლ ხალხში ვპოულობთ. ჩვენ ვიცით, რომ ესპანეთის ხალხი ყველა ძალით ეხმარება ჩვენ მთავრობას ფაშისტური ურდოების განადგურებაში. ჩვენ ვიცით, რომ ესპანეთის ხალხი ყველა ძალით ეხმარება ჩვენ მთავრობას ფაშისტური ურდოების განადგურებაში. ჩვენ ვიცით, რომ ესპანეთის ხალხი ყველა ძალით ეხმარება ჩვენ მთავრობას ფაშისტური ურდოების განადგურებაში.

მიახა: რა გაინტერესებთ თქვენ?

გაიოსო: როგორია უკანასკნელი ცნობები ბისკაის ფრონტიდან?

მიახა: მე ჯერ არ მომიღია დაწვრილებითი შეჯამებული ცნობა. მე მხოლოდ მაცნობეს, რომ დღეს იქ გაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, ცნობილია, რომ ამ ბრძოლების შედეგად ინტერვენტები უკუქცეულ იქნენ და მათ დიდი ზარალი ნახეს.

გაიოსო: ჩვენ გვიბრძანა ამის მხედინა, ჩემო გენერალო! ნება მომეცით მოგცეთ შემდეგი კითხვა. სად არის ჩვენი მეთაური—ამხანაგი ლისტერი?

მიახა: ლისტერი ფრონტზეა.

გაიოსო: როგორია მე-11 დივიზიის მეომართა განწყობილება?

მიახა: თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ, კომისარო. მე-11 დივიზია—ერთერთი საუკეთესო დივიზიაა ჩვენს არმიაში.

გაიოსო: მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო გენერალო. სალამი დელეგაციის მონაწილეებისგან! „იზვესტიის" რედაქციამ აგრეთვე მთხოვა გადმოგცეთ მხურვალე სალამი.

მიახა: ნახვამდე, ჩემო მეგობარო. სალუტ!

***

ფრანსისკო გაიოსო—ათასეულის კომისარია მე-11 დივიზიისა, რომლის სარდალია ლისტერი. გენერალ მიახასთან საუბრით აღელვებულმა, მან უკამო „იზვესტიის" თანამშრომლებს, თუ რა პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკის ეს ნიჭიერი მხედართმთავარი შებრძოლებსა და მთელ მოსახლეობას შორის:

— მე არა ერთხელ შევხვედრივარ გენერალ მიახას. მე მომისმენია მისი გამოსვლები მადრიდის თავდაცვის კომიტეტის რამდენიმე სხდომაზე. მე ვხედავდი მას საზეიმო კრებებსა და დემონსტრაციებზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გენერალ მიახას გამოსვლა საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ლისტერის დანიშვნას მე-11 დივიზიის სარდლად. იგი—სახელოვანი შებრძოლი დივიზიაა. მისი შებრძოლები მრავალი თვის განმავლობაში იცავდნენ მადრიდს. სიმამაცისა და გმირობისათვის დივიზიას ეწოდა ლენინგრადის დივიზია. შემდგომ, როდესაც სახალხო მილიციის ნაწილები გარდაიქმნენ რეგულარულ არმიად, დივიზიას ეწოდა მეთერთმეტე. და აი რატომ: ვსწავლობდით რა ლენინგრადის თავდაცვის ისტორიას, ჩვენ გავიგეთ, რომ წითელ ნაწილთა შორის ერთერთი, განსაკუთრებით დამსახურებული ნაწილი იყო მეთერთმეტე დივიზია. მის პატივსაცემად მეომრებისა და მეთაურების შუამდგომლობით ჩვენს დივიზიას შეუცვალეს სახელი.

საბჭოთა კავშირში

მესამე ხუთწლედის გეგმის დამუშავება

თათბირი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 9 მაისი (საქდესი). 8 მაისს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში ვ. ი. მეჟლაუკის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი მესამე ხუთწლედში მძიმე ინდუსტრიის განვითარების გეგმის შედგენის საკითხზე.

ვ. ი. მეჟლაუკმა თავის გამოსვლაში დაახასიათა მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ზოგადი დებულებანი. გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს გულდასმით მოფიქრებული ტექნიკური პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მძიმე ინდუსტრიის აღმავლობა ახალ უფრო მაღალ საფეხურზე, რათა მინიმალური კაპიტალური ხარჯებით მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და წარმოების გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციისა და წარმოების საშუალებათა ტექნიკურად სრულქმნილ სახეთა დანერგვას.

ვიდრე მესამე ხუთწლიანი გეგმის მონახაზების შედგენას შეუდგებოდნენ, მთავარმა სამმართველოებმა თვითეული დარგის ხაზით უნდა ანალიზი გაუკეთონ მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას და ამ ანალიზის საფუძველზე გამოარკვიონ ვიწრო ადგილები წარმოებაში, მთლიანად და ცალკეულ საწარმოებში, აგრეთვე დასახონ ღონისძიებანი მათ დასაძლევად. ამასთან მხედველობაში უნდა მიიღონ იმ მავნებლობის შედეგები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მძიმე მრეწველობაში და დასახონ ქმედი ღონისძიებანი მათი ლიკვიდაციისათვის.

სსრ კავშირის ელჩის ბერლინიდან გამგზავრება

ბერლინი, 8 მაისი (საქდესი). სსრ კავშირის ელჩი ბერლინში ი. ზ. ზუკოვი ოთხშაბათ დილით ავიამფრინავით გაემგზავრა მოსკოვში.

ელიუმი საგზაო დირიჟაბლებისათვის

მოსკოვი, 8 მაისი (საქდესი). გერმანიის დირიჟაბლის „ჰინდენბურგის" დაღუპვის გამო ბუნებრივი გაზებისა და ჰელიუმის მომპოვებელი და გადამმუშავებელი საკავშირო ტრესტის („სოიუზგაზი") მმართველის მოადგილემ ამხ. მენდელსონმა სსრ კავშირის დეპ. სააგეგმოს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი.

— ჯერ კიდევ არ არის ზუსტად გამორკვეული დირიჟაბლის დაღუპვის მიზეზები. მაგრამ, ცხადია, იგი რომ გავსებული ყოფილიყო არა წყალბადით, არამედ ჰელიუმით, კვრავითარი გარეშე მიზეზები ვერ შესძლებდნენ დირიჟაბლზე ხანძრის გამოწვევას. როგორც ცნობილია, ჰელიუმი წარმოადგენს კეთილშობილ ნეიტრალურ გაზს, რომელიც ქიმიურად არ უერთდება არცერთ ელემენტს. ამიტომ ის დირიჟაბლი, რომლის ბალონებიც გავსებულია ჰელიუმით, სავსებით დაზღვეულია არიან ხანძრის საშიშროებისაგან.

ამიტომ საბჭოთა კავშირი უდიდეს ყურადღებას აქცევს ჰელიუმის მოპოვებას. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში ჩატარებულია ცდები ჰელიუმის მისაღებად ბუნებრივი გაზიდან და მის მოსაპოვებლად სპეციალური დანადგარით. ეს ცდები დიდი წარმატებით დაგვირგვნდა. ამასთან ერთად ჩატარდა გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოები ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში. ახლა ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს შევუდგეთ დიდი ქარხნის აგებას ჰელიუმის მისაღებად. ჰელიუმის ქარხნის პროექტი უკვე დამთავრებულია და წელს განზრახულია მშენებლობის დაწყება.

ამგვარად, საბჭოთა დირიჟაბლმშენებლობა მალე იქნება უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის საკუთარი ჰელიუმით.

სოფლის მეურნეობის მესამე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის

მოსკოვი, 8 მაისი (საქდესი). სსრ კავშირის მიწსახკომში სახალხო კომისრის მ. ა. ჩერნოვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელიც მიძღვნილი იყო სოფლის მეურნეობის მესამე ხუთწლედისადმი. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეებმა, მთავარსამმართველოთა უფროსებმა, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა და სხვ.

თათბირის მასალების საფუძველზე ამხ. ჩერნოვმა წინადადება მისცა სსრ კავშირის მიწსახკომის მთავარსამმართველოთა ყველა უფროსს 20 მაისისათვის წარმოადგინონ გეგმები პროექტები მესამე ხუთწლედისათვის ცალკეული კულტურების მიხედვით. საკონტროლო ციფრებმა უნდა ასახონ მანქანა-ტრაქტორების სადგურთა შემდგომი განვითარება, საკოლმეურნეო მინდვრების ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდა, მანქანა - ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური შეიარაღების ზრდა მათი მუშაობის სრული რენტაბელობის საფუძველზე.

გეგმის პროექტი შედგენილ უნდა იქნას იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელმაც სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებაში აბსოლუტური ციფრების მხრივ გაუსწრო კაპიტალისტურ ქვეყნებს, გაუსწროს მათ მესამე ხუთწლედში ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 6 მაისი (საქდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სატომ გუშინ მიიღო უცხოელი კორესპონდენტები და მიმართა მათ ვრცელი განცხადებებით იაპონიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. შეეხო რა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობას, სატომ სთქვა:

„საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის მოწესრიგება აუცილებლად საჭიროა. რამდენადაც როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იაპონიის მთავრობებს ერთნაირად სურთ გააუმჯობესონ ახლანდელი მდგომარეობა, ვფიქრობ, რომ არ იქნება მეტისმეტად ძნელი ამოცანა გადაუწყვეტელი საკითხების მოწესრიგება, თუ მათ დაჟინებითა და გადაჭრით მოჰკიდებ ხელს. ამასთან დაკავშირებით მოველი, რომ მეჭნება კერძო საუბრები იურენევთან, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა თავის პოსტზე".

სატომს განცხადების შემდეგ უცხოელმა კორესპონდენტებმა მისცეს მრავალი კითხვა, რომელთა შორის დიდი ადგილი ეკავა კითხვებს ჩინეთთან და ინგლისთან იაპონიის ურთიერთობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

სატომ განაცხადა, რომ ჩინეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჭიროა, პირველ ყოვლისა, ჩინეთის მთავრობამ ხელი აიღოს ანტიიაპონურ პროპაგანდაზე და ანტიიაპონურ ორგანიზაციებზე. ინგლისთან ურთიერთობის შესახებ სატომ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს ინგლისის ინტერესების დაცვას ფარ-ხმალ დაყრის გარეშე.

კითხვაზე საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შესახებ სატომ მეტად მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა. ასე, მაგალითად, კითხვაზე: „შესძლებთ თუ არა თქვენ წამოაყენოთ რაიმე კონკრეტული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის გაუმჯობესებასო", — სატომ უპასუხა: „მე ვიპირებ და მსურს ამ პრობლემის შესახებ მოლაპარაკება გავმართო იურენევთან. ამიტომ გონივრული არ იქნებოდა ახლანდელ მომენტში ამ საქმეებზე გულახდილად ვილაპარაკოთო". კითხვაზე „იზიარებს თუ არა იაპონიის ახლანდელი მთავრობა თავის წინამორბედთა შეხედულებას, რომ თავდაუსხმელობის პაქტი სსრ კავშირთან შეიძლება დადებულ იქნას მხოლოდ ყველა სადაო საკითხის წინასწარი მოწესრიგების შემდეგ, — სატომ უპასუხა, „არაფერი შემიძლია ვთქვა იაპონიის მთავრობის მომავალ პოზიციაზე ამ საკითხში, მაგრამ რაც პირადად მე შემეხება, განზრახვა მაქვს აღვძრა საკითხი სსრ კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ".

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

○ 6 მაისს ინგლისის ნაომოსან „70"-ით ბილბაოდან საფრანგეთში ჩაიყვანეს 4 ათასი ბავშვი.

○ 6 მაისს შესდგა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრატიული საბჭოს სხდომა ერსტედის (დანია) თავმჯდომარეობით. სსრ კავშირიდან დაესწრო ამხ. მარკუსი.

○ კრუპის ფირმისათვის შეკვეთილი გემების მშენებლობასთან დაკავშირებით, გერმანიას მიემზავრება თურქეთის დელეგაცია მშენებლობის სამეთვალყურეოდ და გემების მისაღებად.

○ ინოეთიდან მიღებული ცნობებით, კვეტაში (ინდოეთი) გაიფრცა 10 ათასი მუშა, რომელნიც მუშაობენ 1935 წელს მიწისძვრისაგან დანგრეული ქალაქის აღდგენაზე.

○ დიდმა ნაციონალურმა კრებამ დაამტკიცა კანონი საბ

თბილისის XVI საქალაქო პარტკონფერენციაზე

9 მაისის დილის სხდომა

კონფერენციის 9 მაისის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი პარტიის თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშგების გარშემო.

კამათში პირველი გამოდის ამხ. **დანელია** — პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მესამე მდივანი. მან უამბო კონფერენციის დელეგატებს ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის კომუნისტთა მაღალი აქტივობის შესახებ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. საერთოდ პარტორგანიზაციამ გულმოდგინედ განიხილა პარტკომის შემადგენლობაში ასარჩევი კანდიდატები და სხვადასხვა მიზეზების გამო აცილება მისცეს 18 კაცს.

უკანასკნელ დრომდე პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლის მოხლუბების გამო ქარხანაში გამეფებული იყო შინაურულობა. კადრების შერჩევა ხდებოდა ნათესაური ნიშნების მიხედვით. ქარხნის ყოფილი დირექტორი, ხალხის მტერი ტროცკისტი მავნებელი უანდარეული ყოველმხრივ ხელს უშლიდა სტახანოვური მოძრაობის ზრდას, აფერხებდა სტახანოველთა მუშაობას.

არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს ქარხანას აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი. სახალხო კომისარიატის მუშაკები არ დადიან ქარხანაში, გაურბიან სტახანოველებთან საუბარს.

შემდეგ გამოდის ამხ. **ვ. ბუჯიაშვილი** — პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი. ის ლაპარაკობს კომუნისტების აქტივობის უდიდეს ზრდაზე, რაც გამოიწვია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და საბოლოო სიტყვამ ფარულმა კენჭისყრამ გაზარდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა პარტიულ ორგანოებში ყველაზე ერთგული და ღირსეული ბოლშევიკების არჩევისათვის. პარტკომთა შემადგენლობაში საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წამოყენებული იყო 1229 კანდიდატი, ამათში კანდიდატურათა განხილვის პროცესში სხვადასხვა მოტივებით აცილება მისცეს 400 კაცს.

— კრებებზე გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა ამყარებდა რაიკომის ხელმძღვანელობაში არსებულ ნაკლოვანებებს, — ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი. რაიკომი ცუდად იცნობს პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებას, კომუნისტთა მოთხრობებს. რაიკომის მდივანია შეისწავლოს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მასალები, კომუნისტების წინადადებანი და გამოიყვანოს იქიდან დასკვნები თავისი პრაქტიკული მუშაობისათვის. რაიკომმა ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიოს პირველადი ორგანიზაციების ახლადარჩეულ მდივნებს და პარტორგებს.

შემდეგ გამოდის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი ამხ. **ბლიახუ.** იგი ლაპარაკობს ახალ ამოცანებზე, რომლებიც დააყენა ჩვენი პრესის წინაშე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

მრავალი ჩვენი გაზეთის მუშაობა, მათ შორის „ვეჩერნი ტბილისისაც“, ჯერ კიდევ არ უპასუხებს ახალ მოთხოვნებს. მრავალ საწარმოში ძირეული პრესის მუშაობა ცუდად არის დაყენებული. კედლის გაზეთები იშვიათად გამოდის. ამ გაზეთებში ხშირია შეცდომები. პარტიული ორგანიზაციები და ქალაქის გაზეთები ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარებიან ძრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებს.

შემდეგი ორატორი ამხ. **დვალიშვილი** (კიროვის რაიკომის მესამე მდივანი) აღნიშნავს, რომ თბილისის საბჭოს აპარატის პარტორგანიზაცია ნაკლებად მუშაობდა საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობის კონკრეტულ საკითხებზე.

თბილისის საბჭოს მუშაობას მრავალი დელეგატი აკრიტიკებს. დაწვრილებით ამის შესახებ ლაპარაკობს ამხ. **კირკისალოვა** (პარტიის თბილისის კომიტეტის საბჭოთა-სავაჭრო განყოფილების გამგე).

თბილისის საბჭოს და რაისაბჭოების დეპუტატებიდან 1448 კაცს ერთხელაც არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩეველთათვის. რაისაბჭოების მუშაობაში ფართოდ იყო გავრცელებული კოოპტაციის პრაქტიკა. ასე მაგალითად, ლენინის რაისაბჭოში პრეზიდიუმის 15 წევრიდან 9 კოოპტირებულია. ჯერ კიდევ არ არის მუშაობაში ჩაბმული მთლიანად საბჭოების ყველა დეპუტატი. ორჯონიკიძის რაისაბჭოს 313 დეპუტატიდან 147 არ არის ჩაბმული მუშაობაში.

ამხ. კირკისალოვა ამბობს, რომ პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბჭოს კომუნისტ დეპუტატთა მუშაობის საკითხებს.

ამხ. **ლუარსაბოვი** (ამერკავკასიის რკინიგზა) ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რკინიგზელთა კადრები ცუდად არიან შესწავლილი და გამოყენებული. შემდეგ ამხ. ლუარსაბოვი ეხება რკინიგზაზე ჭურჭლობისა და მტაცებლობის საკითხს. ამ ბოროტებას გზის ადმინისტრაცია სუსტად ებრძვის. სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ადმინისტრაცია დანაშაულთა მხოლოდ საყვედურს უცხადებს.

ამხ. **მამულაშვილმა** (ტრამვაის პარტკომის მდივანი) უამბო კონფერენციას პარტორგანიზაციის ბრძოლაზე ხალხის მტერთა — ტროცკისტ მავნებელთა გამოშკვნებისათვის. შემდეგ ის ლაპარაკობს მუშათა შორის პოლიტიკურ მუშაობაზე. ტრამვაის მეურნეობაში ამჟამად მუშაობს 100 აგიტატორი, რომლებიც ორგანიზებული არიან 3 აგიტკოლექტივად.

ამხ. მამულაშვილი აღნიშნავს სახელმძღვანელოების უქონლობას ქართულ ენაზე მომუშავე პოლიტსკოლებისათვის, რაც წარმოადგენს ამ სკოლების ცუდი მუშაობის ერთერთ მიზეზს.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **მილშტეინი** საჭიროდ სთვლის, რომ პარტორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას.

ამხ. **ჩხარტიშვილი** (ზატკეციელების სამმართველოს პარტკომის მდივანი) ჩერდება სიფხიზლის მოდუნებისა და უდარდელების ფაქტებზე საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს აპარატის პარტორგანიზაციაში.

ამხ. **მაზანაშვილი** (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა) კონფერენციის დელეგატთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ თბილისის ბაღები უყურადღებოდ არის მიტოვებული. შემდეგ ის ლაპარაკობს საბინაო ამხანაგობათა ცუდი მუშაობის შესახებ.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს დირექტორი ამხ. **შუშანია** აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო გულმოდგინედ იქნან შერჩეული პროპაგანდისტები, გაძლიერდეს დახმარება პროპაგანდისტებისადმი მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ამხ. **გრუცინი** (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ სარემონტო ქარხანა) ლაპარაკობს იმ მავნებლობის გაკვეთილებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქარხანაში. ორთქლმავალ - ვაგონ სარემონტო ქარხანა ითვლება იმ საწარმოთა რიცხვში, რომელთაც ყველაზე მეტად შეეხო რკინიგზაზე მომჭმედ ტროცკისტ ბანდიტების მავნებლობა. პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა აამაღლოს თავისი სიფხიზლე, რათა საბოლოოდ აღმოფხვრას შენიღბული ტროცკისტი ნაბოლარები

პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ს. იშხანოვი** თავის გამოსვლაში ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ანხორციელებს პრაქტიკულად რაიონის პარტორგანიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა დაგვანახვეს, თუ როგორ გამოაცოცხლეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა პარტიული მასა, აამაღლეს კომუნისტების აქტივობა. კრებებს ესწრებოდა კომუნისტების 91 პროცენტი. კამათში მონაწილეობა მიიღო კრებებზე დამსწრეთა 60 პროცენტმა. 163 პირველად ორგანიზაციაში 49 პარტკომისა და პარტორგის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული. არჩევნების შედეგად მნიშვნელოვნად განახლდა ხელმძღვანელი აქტივის კადრები პირველად ორგანიზაციებში. პარტკომთა წევრების შემადგენლობაში 38 პროცენტი ახლადარჩეულია.

ამხ. იშხანოვი ლაპარაკობს, რომ ყველა სანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ ყოფილა ფართოდ გაჩაღებული თვითკრიტიკა. სატყეო ტრესტის, თბილისის საბჭოს, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციებში, სადაც თვითკრიტიკა პატივში არ არის, სანგარიშო კრებებზე ადამიანები გვერდს უვლიდნენ მწვავე საკითხებს.

ლაპარაკობს რა საბჭოების არჩევნებისათვის სამზადისზე, ამხ. იშხანოვი აკრიტიკებს პარტიული ორგანიზაციების სუსტ მუშაობას შინამრეწველთა შორის.

შემდეგი ორატორი ამხ. **ჩადრანოვი** (თბილისის საორთქლმავლო დეპო) ლაპარაკობს, რომ ფარული კენჭისყრა წარმოადგენს მუშაკთა შემოწმების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მძლავრ იარაღს. საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა გააშავეს მასებისაგან მოწყვეტილ, გაბიუროკრატებულ ადამიანთა კანდიდატურები. ამხ. ჩადრანოვი უზიარებს კონფერენციას თბილისის დეპოს ყოველდღიური კედლის გაზეთის მუშაობის გამოცდილებას და აკრიტიკებს ქალაქის გაზეთების მუშაობას ძირეული პრესის ხელმძღვანელობის საქმეში.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **ეგიზაშვილი** (ორჯონიკიძის რაიკომი), რომელმაც ილაპარაკა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კომუნისტების სიფხიზლის მოდუნების ფაქტებზე. ეგიზაშვილის შემდეგ გამოვიდა ამხ. **ზომბუა** (სახუნტის პარტკომის მდივანი).

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ყორყოლაძემ** ილაპარაკა გზების პოლიტგანყოფილების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. პოლიტგანყოფილებამ ვერ გამოიჩინა ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე. რათა თავის დროზე ემხილებინა რკინიგზაზე მოქმედი ტროცკისტ მავნებელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა საზიზღარი ბანდა. ამხ. ყორყოლაძე ლაპარაკობს იმ ზომების შესახებ, რომელსაც იღებს გზის სამმართველო და პოლიტგანყოფილება ღებულობენ მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციისათვის. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს პარტიის ლენინის რაიკომის მუშაობას, რომელიც „მოწყვეტილია გზის პარტორგანიზაციას და არ ეხმარება მას.

კონფერენციის დილის სხდომა დამთავრდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ტრდატიანის** გამოსვლით.

9 მაისის საღამოს სხდომა

კონფერენციის 9 მაისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიშების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. რაზმაძემ (თბილისის ტრამვაის ტრესტის დირექტორი), აკოპოვმა (თბილისის აეროპორტის პარტკომის მდივანი), ჯვარიძემ (მაუდის ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი), ბოთაჯანიმა (საქ. ავტოტრესტის პირველი ბაზის პარტიული კომიტეტის მდივანი), გაბარაშვილმა (ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე), მაისურაძემ („სარეწაო საბჭოს“ პარტიული კომიტეტის მდივანი), დეტრაძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომბინატის პარტიული ბიუროს მდივანი), გაბარაშვილმა (ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე), მაისურაძემ („სარეწაო საბჭოს“ პარტიული კომიტეტის მდივანი), დეტრაძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომბინატის პარტიული ბიუროს მდივანი), ბოთაჯანიმა (საქ. ავტოტრესტის პირველი ბაზის პარტიული კომიტეტის მდივანი), ჯვარიძემ (მაუდის ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი), კირიჩუკმა (ტყავის ქარხანა № 1), ჩუბინიძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი) და მეტონიძემ (საქართველოს იუსტიციის სახკომი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიშის გამო რეზოლუციის შესამუშავებლად კონფერენციამ აირჩია კომისია.

რაიონული პარჯიული კონფერენციები

გორი

4 დღეს მუშაობდა გორის პარტიული ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ფანცულაიამ. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული დემოკრატიისა და პარტიის წესდების დარღვევის შემთხვევებს, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი მუშაობის შივიწყების ფაქტებს.

საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 42 დელეგატმა.

კონფერენციის დამთავრებისთანავე შესდგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია რაიონული კომიტეტის ბიურო 7 წევრისა და 2 კანდიდატის რაოდენობით.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პირველ მდივნად ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა ამხ. დ. ფანცულაია, მეორე მდივნად კი ამხ. ალ. თურაზაშვილი.

დ. ჯალაღანია.

გურჯაანი

გურჯაანი, 9 მაისი (საქრესი). დაამთავრა მუშაობა გურჯაანის რაიონის VII პარტიულმა კონფერენციამ. კონფერენციას დაესწრო 104 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 13 სათათბირო ხმით.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული დელეგატები მკვეთრად აკრიტიკებდნენ რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებებს, მოჰყავდათ შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები.

კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიკომის პლენუმი 35 წევრის და 8 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია 5 წევრისაგან და დელეგატები საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე.

8 მაისს შესდგა პარტიის ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. ფარული კენჭისყრით პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიუროს წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად არის არჩეული ამხ. გ. თვალჭრელიძე, მეორე მდივნად ამხ. გ. დარაშვილი.

განსახკომის აქტივის კრება

სამ დღეს გაგრძელდა საქ. გახათლების სახ. კომისარიატის რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც 5 მაისს გაიხსნა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგებზე და განათლების ოლქგანოების ამოცანებზე მოხსენება გააკეთა საქ. განათლების სახალხო კომისარმა ამხ. კ. ჭკუასელმა.

მან ვრცლად განმარტა პლენუმის დადგენილებათა დედააზრი და აღნიშნა მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობა სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობისათვის, აღნიშნა, რომ საჭიროა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მობრუნებასთან ერთად შესაფერისად გარდაიქმნას განათლების ორგახოების მუშაობაც.

ამხ. ჭკუასელის მოხსენებაში ფართოდ და მკაცრად იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მან აქტივის წინაშე ამხილა მთელი რიგი ნაკლოვანებანი და დამხინჯებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქ. განსახკომის სისტემაში, აგრეთვე რაიონების განათლების განყოფილებებში.

დღემდე განსახკომის აპარატის მუშაკები თითქმის მოწყვეტილი იყვნენ ძირეული ორგანიზაციებისა და სკოლებისაგან, არ ჰქონდათ ცოცხალი კავშირი სკოლებთან, მასწავლებლებთან.

კომისარიატის სამმართველოთა პასუხისმგებელი მუშაკების საქმიანობაში სჭარბობდა ქაღალდებითა და ცირკულარებით ხელმძღვანელობა, ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიზმის ელემენტებს და სხვ. ხშირად სამმართველოების უფროსები ამათუიმ პირს შეუსწავლელად და შეუმოწმებლად ნიშნავდნენ სამუშაოზე, კადრების შერჩევის საქმე ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, ამათუიმ პასუხსაგებ სამუშაოზე დანიშნული პიროვნება ზოგ შემთხვევაში შეუფერებელი და მოუმზადებელი იყო. მაგალითად, ამხ. ვ. ჭიბულაიმ ამბროლაურის რაიონში გაგზავნა ვინმე გოცირიძე, რომელსაც არ გააჩნდა განათლების არაეითარი ცენზი. ჭიბულაიმ მას სკოლის დირექტორთან გაატანა ბარათი, რომ იქ ჩაებარებინებინათ საშუალო სკოლის კურსი.

ცუდად არის დაყენებული მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. სუსტად მუშაობენ დაუსწრებელი და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები.

ჯერჯერობით კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ქართული ენის სწავლება.

სუსტია განსახკომის ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტობა სათანადო ლიტერატურით მომარაგებული ვერ არის. უმაღლეს სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა თანხების გადახარჯვებს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭუთაისის პედინსტიტუტი).

ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად იყო გაშლილი წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის საქმე. მოხსენების თანახმად, 1936 წელს ამ კამათში 40 კაცი გამოაშკარავეს, რომელიც გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ განსახკომის მუშაობას.

კრებაზე ვრცელი შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სკოლისა და მეცნიერების განყოფილების გამგე ამხ. პ. შარია.

ამხ. შარიამ შეაჯამა აქტივის მუშაობა და ხაზი გაუსვა მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს განსახკომის მუშაობაში; მან აღნიშნა, რომ განსახკომმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჭრა მუშაობა სკოლის ახალი ამოცანებთან შეფარდებით. ერთერთ სერიოზულ ნაკლს განსახკომის მუშაობაში.—ამბობს ამხ. შარია—წარმოადგენს მასწავლებელთა ატესტაციის სუსტი მიმდინარეობა, განსახკომმა ვერ უზრუნველჰყო ატესტაციის დროულად დამთავრება და, რაც მთავარია, სათანადოდ ვერ გაშალა მუშაობა მასწავლებელთა გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ამაღლებლად.

შემდეგ ამხ. შარია აღნიშნავს, რომ განათლების მუშაკთა კავშირი სუსტად მუშაობს, სათანადო დახმარებას არ უწევს განსახკომს, ნაკლებად ზრუნავს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე.

ამხ. შარია დაწვრილებით ჩერდება სკოლების მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ მასწავლებლობას ჯერ კიდევ საკმარისად შეგნებული არა აქვს პარტიისა და ხელისუფლების მოწოდება სწავლის ხარისხის ამაღლებისაკენ. დღეს აქვს ლიბერალიზმს მოწაფეთა ცოდნის შეფასებაში, ფრაიდოსნობისათვის ბრძოლა არ არის სათანადოდ გაშლილი. მასწავლებელთა უმეტესობა ვერ ახერხებს სწავლისა და აღზრდის დარგში მუშაობის შეთავსებას, არასწორად არის გაგებული პარტიის მოწოდება თვითკრიტიკის გაშლის შესახებ. მასწავლებლობას ნათელი წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ფორმით უნდა სწარმოებდეს თვითკრიტიკა სკოლაში. ვერც კომკავშირული ორგანიზაციები იჩენენ სათანადო უნარს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, მათ ჯერ კიდევ ვერ გაუტარეს ცხოვრებაში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის დირექტივები ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

ამხ. შარიამ მკაცრად გააკრიტიკა გაზეთი „კომუნისტური განათლება“, რომელიც დღემდე კიდევ ვერ უწყებრივ ხასიათს ატარებს, ვერ აშუქებს სასკოლო მუშაობის ძირითად საკითხებს, ვერ უწევს სკოლებს მეთოდიურ დახმარებას და ხელს ვერ უწყობს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას.

დასასრულ, კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც განათლების ორგანოებს უსახავს კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობის გარდაქმნისათვის.

ამხ. ს. დგებუაძე

მეგობრის ხსოვნას

8 მაისს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვალა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **სერაპიონ დგებუაძე.** ამხ. სერაპიონის სიკვდილი დიდი დანაკლისია საქართველოს კომკავშირისათვის. გარდაიცვალა მტკიცე ბოლშევიკი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანი. მუშაობდა რა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნად, ამხ. დგებუაძე, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მთელ თავის ძალას, მთელ თავის ენერგიას ანდომებდა ახალგაზრდობისა და ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

ამხ. სერაპიონი კომკავშირში შევიდა 1921 წელს, როდესაც სოფლის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომკავშირულ მუშაობაში. 1928 წელს ამხ. დგებუაძე არჩეულ იქნა კომკავშირის სენაკის სამაზრო კომიტეტის მდივნად. 1928 წელს იგი შედის პარტიაში. 1930 წელს, მაზრების ლიკვიდაციის გამო კომკავშირის სამაზრო კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით, ამხ. სერაპიონი გადადის პარტიულ სამუშაოზე. მუშაობს საქ. კ.პ. (ბ) აბაშის, სენაკის რაიკომების საორგანიზაციო განყ. გამგედ, შემდეგ—საქ. კ. პ. (ბ) სენაკის რაიკომის მდივნად.

1935 წელს ამხ. სერაპიონი არჩეულ იქნა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ამ პასუხსაგებ პოსტზე მუშაობდა იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ამხ. დგებუაძე იყო ახალგაზრდობის უნარიანი და გულისხმიერი ხელმძღვანელი. იგი არ ზოგავდა ძალღონეს, ანგარიშს არ უწევდა თავის ავადმყოფობას და დაუღალავად მუშაობდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულება, ბოლშევიკური სიფხიზლე, დაუნდობელი ბრძოლა პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ, თავმდაბლობა—აი ის თვისებანი, რომლებიც ახასიათებდა ამხ. სერაპიონს.

ყველა ვინც ამხ. სერაპიონს იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავნია, გულისტკივილით შეხვდება ცნობას ამ მტკიცე, პატიოსანი ბოლშევიკის გარდაცვალების შესახებ. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თვითეული ჩვენთაგანის გულში.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

ა. მგელაძე, შ. გუდავაძე, ბ. ლელიანი, შ. ჭანუყვაძე, ლ. საბანტარიშვილი, ნ. ავიძბა, ვ. ფოფხაძე, ა. ხუჯაძე, შ. რუხაძე, ა. იაშაღაშვილი, ს. ჭოლარია, ი. ნადაშვილი, მ. ცქვიტინიძე, პ. ორეხოვი, ა. ვოლფენზონი, ა. მთვრალაშვილი გ. ღარიბოვი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს ყველა კომკავშირელს, ახალგაზრდობას, რომ 8 მაისს აბასთუმანში უდროოდ გარდაიცვალა ძველი კომკავშირელი მუშაკი, რომელმაც ბოლომდე შესწირა თავისი ძალღონე ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხ. სერაფიონ კონსტანტინეს-ძე დგებუაძე

„კომუნისტის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, ხიშეური ახალგაზრდის, სპეტაკი ბოლშევიკის, საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის

ამხ. სერაფიონ დგებუაძის

უდროოდ დაკარგვას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საგადასახადო და სადაზღვევო აპარატის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 9 მაისი (საქრესი). „ფულადი გადასახადების, სადაზღვევო გადასახადების და ნატურალურ ჩაბარებათა გამოანგარიშების და გადახდევინების მოვალეობებისაგან სასოფლო საბჭოების განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ა.წ. 1 ივლისიდან საგადასახადო და სადაზღვევო გადასახდელთა გამოანგარიშებისა და გადახდევინების მთელი მუშაობა დაკისრებული აქვთ რაიონულ საფინანსო განყოფილებებს, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი დებულებანი საგადასახადო ინსპექტორებისა და რევიზორების და სადაზღვევო ინსტრუქტორებისა და რევიზორების შესახებ.

საგადასახადო ინსპექტორებისა და რევიზორების შესახებ

თვითეულ რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებაში ეწყობა საგადასახადო ინსპექცია უფროსი საგადასახადო ინსპექტორის მეთაურობით.

უფროს საგადასახადო ინსპექტორთა, საუბნო საგადასახადო ინსპექტორთა და საგადასახადო ინსპექტორების თანაშემწეთა თანამდებობაზე დაინიშნებიან საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, პოლიტიკურად მომზადებული და საქმიანი კვალიფიკაციის მხრივ შემოწმებული პირნი.

უფროს საგადასახადო ინსპექტორთა თანამდებობაზე შეიძლება დანიშნულ იქნან ისეთი პირნი, რომელსაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი განათლება, ამასთან სტაჟი უბნის ინსპექტორად უნაკლო მუშაობის არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება, უბნის ინსპექტორად უნაკლო მუშაობის არანაკლებ ოთხი წლის სტაჟის მქონენი.

საუბნო საგადასახადო ინსპექტორთა (თვითეული რაიონი იყოფა საგადასახადო უბნებად) თანამდებობაზე შეიძლება დანიშნულ იქნან ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი განათლება და სტაჟი ინსპექტორის თანაშემწედ უნაკლოდ მუშაობის არანაკლებ ერთი წლისა. ეს იმ პირობით, რომ ჩაბარონ გამოცდები სპეციალურ საგნებში სსრ კავშირის ფინსახკომის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით; შეიძლება დაინიშნონ აგრეთვე ის პირები, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება, სტაჟით ინსპექტორის თანაშემწედ უნაკლო მუშაობის არანაკლებ ორი წლისა იმ პირობით, რომ ჩააბარონ აღნიშნული გამოცდა.

უფროს საგადასახადო ინსპექტორებს ეკისრებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მთელ საგადასახადო მუშაობას რაიონის (ქალაქის) ფარგლებში, კერძოდ, შეამოწმონ, თუ რამდენად სრულად და სწორად სწარმოებს გადამხდელთა, მათი შემოსავლის წყაროებისა და ოდენობის აღრიცხვა, სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება, საქმეთა წარმოება გადამხდელთა საჩივრების გამო.

საუბნო საგადასახადო ინსპექტორებს ეკისრებათ უშუალო მუშაობა იმ მხრივ, რომ აღრიცხონ გადამხდელები, შეამოწმონ მათი შემოსავლის წყაროები და შემოსავლის რაოდენობა, გამოიანგარიშონ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები და კონტროლი გაუწიონ იმას, რომ გადამხდელებმა კანონით დაწესებულ ვადებში გადაიხადონ შეწერილი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ეს გადასახადები ამ ვადებში არ იქნა შეტანილი, საუბნო საგადასახადო ინსპექტორებს ევალებათ ნარჩენების გადასახდევინებლად მიღონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ყველა დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია ვალდებულია საგადასახადო ინსპექტორთა მოთხოვნით მიაწოდოს მათ ცნობები დასაბეგრ პირთა შემოსავლის წყაროებისა და რაოდენობის შესახებ და სხვა ცნობები, რომლებიც საგადასახადო ინსპექტორებს ესაჭიროებათ დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად. საგადასახადო ინსპექტორები ვალდებული არიან სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც მათ ყალბ ცნობებს მიაწოდებენ და შემოსავალს შეამცირებენ. გადამხდელთა აღრიცხვის და მათი შემოსავლის წყაროებისა და რაოდენობის შემოწმების დროს საგადასახადო ინსპექტორებს უფლება აქვთ დაათვალიერონ საწარმოო და სასაწყობო სადგომები, გაეცნონ საბუხჰალტრო წიგნებსა და დოკუმენტებს და ა. შ., აწარმოონ ადგილზე პირუტყვის, ნათესების, ბოსტნების და სხვ. არსებული რაოდენობის შემოწმება.

საგადასახადო ინსპექტორები ვალდებული არიან მტკიცედ ადევნონ თვალყური, რომ მოსახლეობას, კოლმეურნეობებს და სხვა ორგანიზაციებს არ გადაახდევინონ ისეთი გადასახადები და გამოსაღებები, რომლებიც კანონით არ არის დაწესებული, დაუყოვნებლივ შეაჩერონ ასეთი გადასახადებისა და გამოსაღებთა გადახდევინება და აცნობონ ეს, დანაშაულთა პასუხისგებაში მისაცემად ადგილობრივ პროკურორს, რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილების გამგეს და ზემდგომ საფინანსო ორგანოს.

საგადასახადო ინსპექტორთა მუშაობისათვის მუდმივი კონტროლის გასაწევად შემოღებულია საგადასახადო რევიზორთა თანამდებობანი. საგადასახადო რევიზორები იმყოფებიან სსრ კავშირის ფინსახკომის და მოკავშირე რესპუბლიკათა ფინსახკომების საგადასახადო სამმართველოებთან და ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო და სამხარეო საფინანსო განყოფილებათა საგადასახადო განყოფილებებთან. საგადასახადო რევიზორებს დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისრების წარდგინით.

საგადასახადო რევიზორები ახორციელებენ საგადასახადო ინსპექტორთა და ქვემდგომ საგადასახადო ინსპექტორებს ესაჭიროებათ დახმარებას საგადასახადო საქმეთა წარმოებაში, ამოწმებენ საგადასახადო ინსპექტორების მუშაობას, ამოწმებენ საგადასახადო ინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფოთლის ხარისხის შემოწმება ახალშენის კოლმეურნეობაში (აჭარა)
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

გამოვასწოროთ ჩამორჩენა მეაბრეშუმეობაში

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჯუღელის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს 1.600 კოლოფიდან მიღებული აბრეშუმის ჭია უნდა გამოჰკვებონ და გეგმის მიხედვით თვითეულ კოლოფზე, ნაცვლად, მაგალითად, 1926 წლის 17 კილოგრამისა, სახელმწიფოს ჩააბარონ საშუალოდ 49 კილოგრამი პარკი (შარშანდელ ჩაბარებულ 48,1 კილოგრამი და რაიონული გეგმა 120,5 პროცენტით შეასრულეს). როგორც შარშანწინ, ისე შარშან პარკის გამოსავლიანობითა და ხარისხით ჯუღელის რაიონმა რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა და მარტო პრემია – წანამატის სახით 280 ათასი მანეთი მიიღო, სულ კი პარკზე მიღებულმა თანხამ 1.200.000 მანეთს მიაღწია. კარგი მუშაობის შედეგად მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა შრომადღეზე 50 მანეთზე მეტი მიიღეს: პიღასი ჯუღელმა — 56, სალამო ბოჭორიშვილმა — 52, ნინო მაღლაკელიძემ — 51 და სხვ.

მაგრამ ამ წარმატებებით დაკმაყოფილება, ცხადია, წელს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. წელს შესაძლებლობა ბევრად უფრო მეტია და ეს საშუალება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

რაიონის მიკრორაიონებად დაყოფა, შესაფერისი ჯიშების შერჩევა, სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა, აგროწესების ზუსტად გატარება ახალი წარმატებების, გეგმის გადაჭარბებით შესრულების აუცილებელი პირობაა. უნდა აშკარად ითქვას, წელს ეს ვალდებულება აქ რატომღაც სათანადოდ ვერ შეაფასეს. რაიონში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მეაბრეშუმეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩასაბმელად, — გაშლილი არ არის შეჯიბრება კოლმეურნეთა შორის, არც სასოფლო საბჭოებია ამ საქმეში ჩაბმული, მთლიანად რაიონს კი მხოლოდ ახლა გადაუწყვეტია გამოიწვიოს ქუთაისი და ლანჩხუთი (საგრენაჟო ქარხანამ თელავისა და ჩოხატაურის ქარხნები გამოიწვია).

მოუგვარებელია აგროწესების გავრცელების, მათი დაუფლების საქმე. კოლმეურნეებს თითქმის სრულებით არ მოეპოვებათ ბროშურები მეაბრეშუმეობის საკითხებზე, რაიაბრეშუმი კი თავს იმართლებს: ჩვენ კონტრაქტაციის ხელშეკრულებასა და სპეციალურ დაფებზე აღვნიშნეთ სავალდებულო მუხლებიო. ნამდვილად, მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის საფუძვლიანი გაცნობა, საკითხის დროულად და დეტალურად შესწავლა რაიონის ხელმძღვანელებს მხედველობიდან გამორჩათ.

— როგორ არის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადების, მეაბრეშუმეთათვის ჭიის მიწოდებისა და მოვლის საქმე? — ვეკითხებით რაიაბრეშუმის ხელმძღვანელს ამხ. იუსტ. ცხადაძეს და მეაბრეშუმეობის უფროს აგრონომს ამხ. ივ. მესხს.

პასუხიდან ირკვევა, რომ ეს საკითხები რაიონს თითქოს მოგვარებული აქვს. ადგილზე შემოწმება კი ამტკიცებს, რომ მაგალითად, საზანოს სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ვ. ფხალაძე), კონტრაქტაციის დამთავრების ვადა 15 მარტი იყო, მაგრამ 21 აპრილსაც ეს საქმე დაუმთავრებელი ჰქონდათ: 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. სამხარაძე), ნაცვლად 70 კოლოფისა, მხოლოდ 45 დააკონტრაქტეს, 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობაში 50-ის მაგიერ — 40, ხოლო თომა ჩუბინიძის სახელობისაში — 35-ის ნაცვლად — 30. მთელ რიგ სხვა ადგილებშიაც ხელშეკრულება არ გააფორმეს, კოლმეურნეები თავის დროზე არ გააფრთხილეს, რის გამო 22 აპრილს სამი დღის გამოსული ჰქონია მარტო საზანოს სასოფლო საბჭოში გადასაყრელად განწირული იყო 56 კოლოფი, ზოვრეთშიც — 12.

როგორც საზანოს და ზოვრეთის სასოფლო საბჭოებში, ისე მთელ რაიონში მეაბრეშუმეთა ბინებში იშვიათია თერმომეტრი. (საჭიროა 3.000-მდე, მოიპოვება მხოლოდ 500-მდე), გადასაყვანი ქაღალდი დაბეჭდებით საჭიროა 2.400 კილოგრამი, არ არის თითქმის არცერთი კილოგრამი, სოფენი ქაღალდი საჭიროა 6.400 კილოგრამი, აქვთ მხოლოდ 400. კოლმეურნეებს არა აქვთ სინესტის საზომი; ხეები ხშირად უწესოდ ისხვლება, ღვივითად ხდება დაბელვა, ბევრგან სუსტია ბრძოლა ხეებისა და ფოთლის შესარჩევად, მათ დასაცავად, აგრეთვე ჭიის მთლიანად შესანარჩუნებლად, სუსტი ჭიების დასაწინაურებლად, ყველგან არ ასრულებენ იმ წესს, რომ ჭია ხშირად ჰკვებონ დროის შემჭიდროების მიზნით (იშვიათად კვებავენ აგრეთვე ღამით), ხშირად არ უცვლიან ბუდეს ძილთან და ნესტიან ამინდთან დაკავშირებით, არ ებრძვიან ავადმყოფობასა და მავნებლებს.

შარშან ჯუღელის რაიონის 300-მდე მეაბრეშუმემ თვითეული კოლოფი თესლიდან 70-80 კილოგრამამდე პარკის მოსავალი მიიღო. უდავოა, წელს ეს რაოდენობა დიდად გაიზრდება, რაიონული გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდება. ამისათვის კი აუცილებელია ყველა ნაკლის, ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორება, ჭიის სანიმუშო მოვლის უზრუნველყოფა.

ტრ. თოდრაძე.

◇ ◇ ◇

აქ იცავენ სამუშაოთა ვადებს

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბაღდათის რაიონში სასოფლო მეურნეობის ძირითადი დარგი მევენახეობაა: ვენახებს აქ 2.048 ჰექტარი უჭირავს. რაიონმა ვენახების გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმა წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში ნაცვლად 60 ჰექტარი ვენახებისა, 74 ჰექტ. გააშენეს, ნაცვლად 342.800-ისა დაამყნეს 489.500 ვაზი, ვარიცხის საბჭოთა მეურნეობაში კი ნაცვლად 514.000 ძირისა,—55.395. რაიონში 2 სათბური ააგეს. სათბურები კარგად მუშაობდნენ.

ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია მევენახეობისა და სანერგეების სპეციალური ბრიგადები. ბრიგადები ძირითადად ყველგან სწორად არის შედგენილი.

ვენახებისა და სანერგეების მოვლა - მზრუნველობა საერთოდ კუდად არ არის დაყენებული. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში უხეშად არის დარღვეული სამუშაოთა ვადები.

ვენახის ფარჩობის გადაბარება პირველი თოხნა პირველი მაისისათვის უნდა დამთავრებულიყო. 6 მაისს კი ეს სამუშაო არცერთ კოლმეურნეობას არ ჰქონდა დამთავრებული.

სოფ. დიმის ჯალინინის, ვრინიცკის და მგალობლიშვილის სახელობის კოლმეურნეობებში მთელ რიგ ბრიგადების ცალკეული ნაკვეთები დაბარული და გათოხნილი არ იყო. ქრინიცკის სახელობის კოლმეურნეობაში სარეველა მცენარეებს ახალი ვაზი მთლად დაეჩრდილა. დასახელებულ კოლმეურნეობას ჰყავს უბნის აგრონომი და 2 აგროტექნიკოსი. აგრონომი მშვილდაძე და აგროტექნიკოსი მახათაძე სრულ უმოქმედობას იჩენენ, ლაყბობით კი ბევრს ლაყბობენ. მახათაძე შრომის ორგანიზაციის ელემენტარულ საკითხში ვერ ერკვევა. ასევე ითქმის მშვილდაძეზედაც. მგალობლიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადებზე 7 წლით ვენახის მიმაგრების „აქტი“ ნაკუწ ქაღალდზე ფანქრით დაუწერიათ. „აქტში“ არ იყო აღნიშნული ბრიგადზე მიმაგრებული ვენახის საერთო ფართობი, საზღვრები, ვაზის რაოდენობა და მდგომარეობა. ასე სახელდახელოდ, ჩინოვნიკურად დაწერილ ქაღალდის ნაკუწებს არავითარი ღირებულება არა აქვს. 6 მაისს მასობრივად უნდა დაეწყოთ ვაზის შეწამლვა. ამ დროისათვის კი მასობრივი შეწამლვა დაიწყო მხოლოდ ს. ბაღდათის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ, ნაწილობრივ კი ფერსათის და წითელი ხევის კოლმეურნეობებმა. სხვა კოლმეურნეობები კი ამ სამუშაოს ჯერაც არ შეუდგომიან.

რა არის ჩამორჩენის მიზეზი?

ამ საქმეში ჩამორჩენის მიზეზია ვენახის სხვა სამუშაოებისა და ხვნა-თესვის ვადაზე შეუსრულებლობა. ახლა, როცა სიმინდის თესვის ვადები დაირღვა, ვენახის სამუშაოები შეუსრულებელია და მთელი რიგი კოლმეურნეობები არ იცავენ სამუშაო დღის შემჭიდროებას, შეწამლვის დაწყებაც გაუჭნელდათ.

— რატომ ვერ დაიწყეთ ვენახის შეწამლვა? ვეკითხებით ს. დიმის ჯალინინის სახელობის კოლმეურნეობის უდარდელ თავმჯდომარე ათანასე ჩიკვინიძეს.

— შესაწამლი მანქანები არა გვაქვს. ვგონებ, შაბაშინიც არ მეყოფა — მიპასუხებს იგი. სინამდვილეში ამ კოლმეურნეობის წევრებს შესაწამლი მანქანები საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ. საჭირო იყო მხოლოდ საქმის ბოლშევიკური ორგანიზაცია. ეს კი მან ვერ შესძლო.

ბაღდათის რაიონში არ იცავენ სამუშაოთა ვადებს, არცერთენ აგროწესებს. ქრინიცკის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესი დაუფარცხავია. ფართობი ჩალის ღეროებისგან არ არის გაწმენდილი. ნახნავ-ნათესს წარვეზიანობა ახასიათებს.

რაიკომმა, რაიაღმასკომმა და რაიმიწგანმა გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ აგროწესების და სამუშაოთა ვადების დარღვევას.

დ. გურიანთელი.

მე-34 სკოლის ფიზკულტურელი ავთანდილ შოშიაშვილი ყიდულობს სასპორტო მაისკებს სკოლის ფიზკულტურელთათვის.
ფოტო ბუდაგოვსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ვიქნები ჩემი სამშობლოს ერთგული გუშაგი

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მშრომელი ახალგაზრდობა განუზომლად იტანჯებოდა ბეგების, აღების და მათი ერთგული ქოფაკების, ხოჯა-მოლების მძიმე უღელ ქვეშ. მაშინ მშრომელი ახალგაზრდობა მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ პირობებს, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების უფლებას. ასეთივე იყო მათი მამა-პაპის, დედებისა და დების ბედი.

აჭარელი ახალგაზრდობისათვის საოცნებო იყო სწავლა-განათლება, კულტურული ცხოვრება, თავისუფალი შრომა. საბჭოთა ხელისუფლებამდე ხულოს რაიონში წერა-კითხვის მცოდნე ერთი ახალგაზრდაც არ მოიპოვებოდა. მართალია, მაშინ ხულოში ორი სკოლა არსებობდა, მაგრამ იქ ბეგებისა და აღების შვილების გარდა არავის ღებულობდნენ. მშრომელი გლეხის შვილები კი ხოჯა-მოლების გონებადამაბრუებელ მედრესეებში იტანჯებოდნენ; ხოჯა-მოლები გრძელი წკეპლით სცემდნენ მათ და თან ატყუებდნენ ← „ჩვენი დანარტყამი ადგილი ჯოჯოხეთში არ დაგიწვითო“.

ასეთი იყო ხულოელი მშრომელი ახალგაზრდობის მძიმე ხვედრი. მაგრამ ასე აღარ არის დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს. დიადი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და ყოველდღიური მზრუნველობით დღითიდღე იზრდება ხულოს რაიონის მშრომელი ახალგაზრდობის კულტურული და პოლიტიკური დონე. დღეს ხულოს რაიონშია 113 დაწყებითი სკოლა, 8 არასრული საშუალო სკოლა, 1 პედტექნიკუმი და 1 საბავშვო ბაღი, რომლებშიაც სწავლობს მშრომელ გლეხთა 4.864 შვილი. მოზრდილთა სკოლებში ჩაბმულია 1.621 მსმენელი.

სტალინის გენიით შექმნილმა სსრკ ავშირის ახალმა კონსტიტუციამ და მისმა პირმშომ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციამ უსაზღვრო სიხარული გამოიწვია, რაიონის კოლკავშირულ და კავშირგარეშე ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კონსტიტუციის 132 მუხლმა, რომელშიაც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი:

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს.

სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“.

ხულოს რაიონის მშრომელი ახალგაზრდობა უდიდესი სიხარულით ეოითხოვს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გაწვევას. რაიონის 32 აჭარელმა ახალგაზრდამ შეიტანა განცხადება, რომელშიაც ისინი მოითხოვენ გაწვეულ იქნან წითელ არმიაში. ეი ისინი: ნიაზ ბოლქვაძე, მუხამედ დეკანაძე, მევლუდ მელაძე, აბას გომაძე, ჯემალ ფუტკარაძე, იუსუბ ბოლქვაძე, აბდულ სურმანიძე. რეჯებალი შაინიძე, ასლან ბოლქვაძე, ყაიო გორგაძე და სხვ.

ეი, რას ამბობს ნიაზ ბოლქვაძე წითელი არმიის შესახებ: — უსაზღვროდ მიყვარს წითელი არმია. უდიდესი სიხარულით მოველი გაწვევის დღეს, როცა ჩავდგები წითელი არმიის რიგებში დიადი ოქტომბრის მონაპირეის დასაცავად, ჩვენი ქვეყნის მტრების გასანადგურებლად.

— მე არ მინდა ჩემი აწალგაზრდობა წითელი არმიის გარეთ გავატარო. მეც მინდა ვიყო ჩვენი სამშობლოს ერთგული გუშაგი, — აცხადებს მუხამედ დეკანაძე.

— ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდა ვარ. ესტატები საამური, ბედნიერი და მხიარული ცხოვრებით, რომელიც მშრომელთათვის გამოსჩენდა საყვარელმა ბელადმა, მზრუნველმა მამამ, ამხანაგმა სტალინმა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ოცნებამ ფრთები შეისხა და ვიქნები სამშობლოს ერთგული გუშაგი — აცხადებს სოფ. დიდაჭარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. მეფლუდ მელაძე.

თ. ჭუბაბ გაბაიძე.

კინკლაობამ საქმე იმსხვერპლა

თბილისში განსახკომს სწავათა შორის აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომლის ამოცანას, თუ დებულებას დავუჯერებთ, შეადგენს სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა. ამ დაწესებულებას განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს ეძახიან.

თვით განსახკომის მიერ გამომუშავებული დებულების თანახმად ამ ინსტიტუტის მთავარ საზრუნავ საგანს სახალხო მასწავლებლის გადამზადებაზე ზრუნვა, მისთვის დახმარების გაწევა, მასწავლებელთა წრიანი წვრთნილი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გარკვევა უნდა შეადგენდეს.

მაგრამ ერთია დებულება და სულ სხვაა, თუ როგორ ანხორციელებენ მას. საქმე ისაა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელებსა და მუშაკებში ამ ერთი წლის წინათ თავი ჩინა კინკლაობამ, უპრინციპო დაჯგუფებამ, დაიწყო უსაქმური ფუსფუსი, მითქმამოთქმა, პორიკონობა. ბოლოს საქმე სასხლის სამართლის დაბაშაულამდე—ჭურდობამდეც მიიყვანეს და ამ მეტად პატივცემული ინსტიტუტის „პატივცემული“ თანამშრომლები ახლა, მუშაობის ნაცვლად, სასამართლოში დადიან ზოგი მაძიებლად, ზოგი ბრალდებულად, ზოგი მოწმედ.

ცნობამ ინსტიტუტში შექმნილი ჭაობის შესახებ, როგორც იყო, განსახკომის ყურამდე მიაღწია. განსახკომში კომისია გამოჰყვეს, მაგრამ ამ კომისიას ინსტიტუტის მუშაობა საფუძვლიანად არ შეუსწავლია, შექმნილ მდგომარეობაში არ გარკვეულა, ის ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდა.

გამოკვლევის შედეგად საჭიროდ სცნეს ინსტიტუტის რეორგანიზაცია, მისი დებულების შეცვლა და, ვითომდაც ამ მიზეზით, არც აცივეს, არც აცხელეს, ადგნენ და ინსტიტუტში მუშაობიდან გაანთავისუფლეს: ბიოლოგიისა და სკოლამდელთა კაბინეტების გამგეები ს. ბერეჟიანი და ს. მაჩაბელი და ბიოლოგიის კაბინეტის თანამშრომელი, დემობილიზებული წითელი მეთაური ამხ. ალ. ჩიხლაძე. მაგრამ გამოცდილი, სტაჟიანი და საქმის ერთგული მუშაკების (ამხ. ს. ბერეჟიანისა და ს. მაჩაბლის) სამუშაოდან განთავისუფლებამ ოდნავაც ვერ მოაშუშა ინსტიტუტის მტკივნეული ადგილები, ვერ მოსპო კინკლაობა და დაჯგუფება. პირიქით, მას შემდეგ მუშაობა უფრო მინელდა, მდგომარეობა გაუარესდა.

ნსენებულ თანამშრომელთა მოხსნას ინსტიტუტის პარტორგი ამხ. დ. ჩიქვაძე იმით ასაბუთებს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ ამ მუშაკების უკეთესებით, მეცნიერული ხარისხის მქონე პირებით შეცვლა გვინდოდაო. სინამდვილეში კი სამუშაოდან მოხსნილთა ნაცვლად მათზე ნაკლები გამოცდილებისა და პრაქტიკის მქონე პირები მიიღეს და ახლაც, ცრუ რეორგანიზაციის შემდეგ, ინსტიტუტის კაბინეტების არცერთ გამგეს არა აქვს მეცნიერული ხარისხი.

როგორც გამოირკვა, განსახკომის კომისია, რომლის მასალების საფუძველზეც მოხდა ინსტიტუტის ვითომდა რეორგანიზაცია, შეცდომაში შეიყვანა ინსტიტუტის პარტორგიც დ. ჩიქვაძეც, რომელმაც არათუ არ მოიწადინა გამოესწორებინა ინსტიტუტში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა, არამედ ოვითონ ჩაება ამ უპრინციპო კინკლაობაში.

ასეთმა გარემოებამ ინსტიტუტის მუშაობა არარაობამდე დაიყვანა. ინსტიტუტს (ქუთაისის ფილიალთან ერთად) რაიონებში ოდესღაც 43 ბაზა ჰქონდა. ყველა ბაზას თავისი დირექტორი და ლექტორთა კადრები ჰყოლია, მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ახლა ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ არ იცის, თუ სადა აქვს ეს ბაზები, ვინ განაგებს მათ, ვისგან და რა მომზადების ხალხისაგან შესდგება ლექტორთა მუდმივი კადრი. ინსტიტუტის მიერ აღრიცხული ბაზებიც დირექტორთა და ლექტორთა მეტი ნაწილი „მკვდარი სულებია“, ე. ი. ისეთი ადამიანები, რომლებმაც დიდიხანია გამოიცვალეს მუშაობის ადგილი. ინსტიტუტის უხერხო ხელმძღვანელებს აზრადაც არ მოსვლიათ შეეტყოთ ბაზების მდგომარეობა, გაეძღერებინათ ისინი შეესაფერისი ადმინისტრატიული ხელმძღვანელებით და ლექტორთა კადრებით. ამ შემთხვევითი ადამიანების—„მკვდარი სულების“ საშუალებით ფიქრობდა ინსტიტუტის დირექცია სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის სისტემატიურ ამაღლებას. აი ასეთ პირობებში სურდა გაეწია ის ორ მილიონამდე მანეთი, რასაც მთავრობა ამ ინსტიტუტს სახალხო განათლების კადრების მომზადების დონის ამაღლებისათვის აძლევს.

წელს ინსტიტუტს გეგმის მიწედით უნდა გადაემზადებინა 2723 მასწავლებელი. სასწაულო წელი მთავრდება და მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ ამ კონტინგენტის ნახევარიც არ არის გადასამზადებელ კურსებზე ჩაბმული. ინსტიტუტის მუშაკები დანაშაულებრივი გულგრილობით მოეკიდნენ ამ საქმეს. ამიტომ არის, რომ გორის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 117 მასწავლებლის ნაცვლად მხოლოდ 36 კაცი დაიარება კურსებზე, გურჯაანისაში 44-ის ნაცვლად—22, თელავისაში 73-ის ნაცვლად—35, ცხაკაიასაში 43-ის ნაცვლად—23, ზუგდიდისაში 127-ის ნაცვლად—52. ქობილისა და მის რაიონში 250 მასწავლებლის ნაცვლად მხოლოდ 91 კაცი მეცადინეობს.

სრულებით არაფერი კეთდება დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა სომხურ სექტორში, ეს გასაგებიც არის. ამ სექტორს დ. ჩიკვაძე „გვანაგებს“ და მას არ ეცალა საქმისათვის.

ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ ინსტიტუტის მუშაკებმა თავიანი მოვალეობა მერვეწყეს.

ინსტიტუტს პირველ კვარტალში უნდა გადაემზადებინა ფიზკულტურის 300 სასკოლო მუშაკი. განსახკომის ფიზკულტურის ინსპექციამ (ინსპ. გ. მერკვილაძე) ხელის შეწყობის ნაცვლად მთლად დააბრკოლა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ჯერ იყო და გადასამზადებელთა გამოძახება 15 მარტიდან 15 აპრილამდე გადაატანინა, მერე ის ვადაც შეუცვალა, ახლა კიდევ 15 მაისამდე გადაიტანეს. კურსების გახსნის ვადების ასეთი ცვალებადობა ინსტიტუტის სხვა ღონისძიებათა განხორციელებასაც აფერხებს.

განსახკომის წინასწარი ცნობებით, უახლოეს დროში პედაგოგიური მინიმუმში უნდა ჩაბაროს დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლების 900-ზე მეტმა მასწავლებელმა. ამ მასწავლებლებისათვის საჭიროა, პედაგოგიური მინიმუმის პროგრამის გამომუშავებასთან ერთად, მინიმუმის შესწავლის ორგანიზაცია. ჯერჯერობით არც განსახკომს, არც ინსტიტუტს ამ საქმის მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებიათ. მასწავლებლობამ არც კი იცის, თუ რას ნიშნავს ეს მინიმუმი, რას გულისხმობს განსახკომი ამ მინიმუმში.

ინსტიტუტის მზრუნველობა დიდიხანია არ უგრძნია არასრული და სრული საშუალო სკოლების მასწავლებლებს, მართალია, ინსტიტუტის ზოგიერთმა კაბინეტმა ცალკეული საგნებისათვის მეთოდიური წერილები შეადგინა, მაგრამ ინსტიტუტის დირექცია ამ წერილებს დღემდე დიდი გულმოდგინებით ინახავს მაუდქვეშ. ცალკეული საგნების მასწავლებელთათვის კონსულტაციები ჩატარება, მათ დასახმარებლად მეთოდისტების გაგზავნა მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ, როცა ინტრიგა-საგან მოიცლიან.

ყველაფერ ზემოთქმულს თუ დავძენთ იმას, რომ ინსტიტუტს არ გააჩნია მატერიალური ბაზა, არა აქვს აუდიტორიები, მოწყობილი არა აქვს ყველა საჭირო კაბინეტები, გეგმებს ვერ ასრულებს. დასკვნა ნათელი იქნება: განსახკომს სერიოზულად ჯერ მოუკიდნია ხელი ამ უაღრესად საჭირო დაწესებულების მუშაობის გაჯანსაღებისათვის. განსახკომის ბრძანებამ ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ ოდნავაც ვერ გამოასწორა ინსტიტუტის მუშაობის ნაკლოვანებანი. ამიტომ საჭიროა ამ ბრძანების გაუქმება და საჭირო ღონისძიებათა დაუყოვნებლივ დასახვა.

ზ. ჯიქია.

ლ. თიქანაძე

ცრუფრიადოსნობის წინააღმდეგ

ფრიადზე სწავლა საბჭოთა სკოლის მოსწავლის გმირობისა და სიმამაცის საქმეა (ლ. ბერია). გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას ესაჭიროება სოციალიზმის მშენებელთა ახალი, ღირსეული კადრები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებული უნდა იყვნენ ღრმა ცოდნით, მეცნიერული თეორიით. აქეთ მოგვეწოდებს ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლაც საკ. კ. პ. (ბ) თებერვლის პლენუმზე, რომელიც უნდა გადაიქცეს საბჭოთა სკოლის, პირველ ყოვლისა, დაბალი და საშუალო სკოლის, მუშაობის პროგრამად.

ამით აიხსნება, რომ საკავშირო ცკკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით ფრიადოსნებს უგამოცდოდ და პირველ რიგში იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ეს გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საშუალო სკოლებს, რომლებმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიწყნარონ ფრიადოსნობის ხარისხის მინიშნება ისეთი მოწაფეებისათვის, რომლებიც ამას ნამდვილად არ იმსახურებენ. საკ. სახკომსაბჭოს დადგენილების დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეეწყოს სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას, წახალისებულ იქნას ფრიადოსნობა და, ამავე დროს, უზრუნველყოფილ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი ახალგაზრდების მიღება, რომლებიც იჩენენ სწავლის მეტ ხალისს, მონდომებას, ენერგიას და ნიჭს. ეს აუცილებელია მომავალ სპეციალისტთა კადრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი საშუალო სკოლები ჯეროვანი ყურადღებით ვერ მოეკიდნენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, მათ სწორად ვერ შეაფასეს ამ დადგენილების შინაარსი, ვერ შეიგნეს მისი ნამდვილი მნიშვნელობა. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გასული წლის შემოდგომაზე უგამოცდოდ მიღებული ფრიადოსნები ვერ ამართლებენ ფრიადოსნის სახელს.

ამ გარემოების ილუსტრაციისათვის მოვიყვან ცნობებს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში მიღებულ „ფრიადოსანთა“ აკადემიური წარმატების შესახებ. ამ ინსტიტუტმა გასულ წელს უგამოცდოდ მიიღო 165 „ფრიადოსანი“; ამათგან სასწავლო წლის პირველ ნახევარშივე გაირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობისათვის 12 კაცი, წავიდა აკადემიურ შვებულებაში (!) — 22, სწავლას თავი დაანება „თავისი სურვილით“ 4 კაცმა, გადავიდა სხვა ინსტიტუტებში — 3. ამგვარად, 165 კაციდან ინსტიტუტს სასწავლო წლის მეორე ნახევრისათვის შერჩა 124 კაცი.

რას ნიშნავს აკადემიურ შვებულებაში წასვლა ანდა სწავლისათვის თავისი სურვილით თავისდანებება? შვებულებაში წამსვლელნიც და თავისდამნებებლებიც ყველა აკადემიურად ჩამორჩენილები არიან, მხოლოდ მათ ჰქონდათ აკადემიური წარმატების იმედი და იძულებული გახდნენ გასულიყვნენ ინსტიტუტიდან.

როგორია ინსტიტუტში დარჩენილ „ფრიადოსანთა“ აკადემიური წარმატება? არადამაკმაყოფილებელი. მათი აბსოლუტური წარმატება გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე გამოცდით მიღებული სტუდენტებისა!!. ზემოთმოხსენებული 124 სტუდენტიდან სუსტი ნიშნები ერთ ან რამდენიმე საგანში აქვს 34 კაცს, დარჩენილი აქვთ ჩაუბარებელი. ეუთი ან ორი საგანი 11 კაცს ე. ი. აკადემიურად ჩამორჩენილია სულ 45 კაცი. თუ ამას დავუმატებთ იმ 38 კაცს, რომელთაც აკადემიური შეფასება მიეცათ, გაირიცხნენ ინსტიტუტიდან ან სწავლას თავი დაანებეს, მივიღებთ სულ 83 კაცს. ამგვარად, გამოდის, რომ უგამოცდოდ მიღებულ „ფრიადოსანთა“ ნახევარზე მეტი აკადემიურად ჩამორჩენილია. განსაკუთრებით ცუდ მაჩვენებლებს იძლევიან თბილისის მე-8 საარკინიგზო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (10 სტუდენტიდან ოთხს არადამაკმაყოფილებელი ნიშნები აქვს), თბილისის პირველი საცდელ - საჩვენებელი სკოლისა (4 სტუდენტიდან 2 სუსტნიშნიანია), (6 სტუდენტიდან 2 სუსტნიშნიანი), თბილისის მე-4 საშუალო სკოლისა (2 სტუდენტიდან 2 სუსტნიშნიანია). ბორჯომის ათწლედისა (2 სტუდენტიდან ერთს ორ საგანში აქვს სუსტი, მეორეს ყველა საგანში საშუალო ნიშნები). მაგრამ ყველაზე უფრო „შესანიშნავ“ და „სარეკორდო“ მაჩვენებლებს იძლევა აბაშის საშუალო სკოლა: 3 „ფრიადოსნიდან“ ერთს აქვს 2 სუსტი, დანარჩენ ორს — თითო საგანში სუსტი და თითო ჩაუბარებელი საგანი.

საშუალო სკოლების ასეთი დამოკიდებულება ფრიადოსნობისადმი ყოველად შეუწყნარებელია. ამით ისინი არსებითად არღვევენ საკავშირო მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებას და თავიანთი უპასუხისმგებლო მოქმედებით ხელს უშლიან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ნამდვილ მოწინავეთა შერჩევას.

რა მდგომარეობაა მიმდინარე წელს? გარდაჭრნეს თუ არა მუშაობა საშუალო სკოლებში? შეიძლება ითქვას, არა. ლიბერალიზმი მოსწავლეთა შეფასებაში ჯერ კიდევ წარმოადგენს ზოგიერთი სკოლის მუშაკთა დამახასიათებელ მოვლენას.

ეს გარემოება ნათელჰყო თბილისის საშუალო და არასრული საშუალო სკოლების გამგეთა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედის შედეგების შესაჯამებლად. ამ თათბირზე გამოირკვა, რომ თბილისის საშუალო და არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეთა 17 პროცენტმა სასწავლო წლის მესამე მეოთხედი არადამაკმაყოფილებლად დაამთავრა. აბსოლუტურ რიცხვებში ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისში 10 ათასამდე მოწაფეს სუსტი ნიშანი ჰქონდა, აქედან 2 საგანში — 2.687, სამ საგანში — 3.008, ოთხ და მეტ საგანში — 508 მოწაფეს. ფრიადოსანთა რიცხვი შეადგენდა 10 პროცენტზე ნაკლებს.

მაგრამ მდგომარეობა ნამდვილად უფრო უარესია. აკადემიურად ჩამორჩენილთა პროცენტი კიდევ მეტია. სასწავლო წლის პირველ მეოთხედში აკადემიურად ჩამორჩენილი მოწაფეები თბილისის სკოლებში შეადგენდნენ 52 პროცენტს, მეორე-მეოთხედში — 33 პროცენტს, ხოლო მესამე მეოთხედში — 17 პროცენტს. როგორც ვხედავთ, აკადემიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში თავბრუდამხვევი ტემპები იყო აღებული. ექვსი თვის განმავლობაში ჩამორჩენილთა პროცენტი 52-დან შემცირდა 17 პროცენტამდე, რაც ყოველდ დაუჯერებელია, მით უმეტეს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თბილისის სკოლებს არ გაუტარებიათ ისეთი რეალური ღონისძიებანი, რომელთაც შეეძლოთ ასეთი დიდი მიღწევის უზრუნველყოფა.

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ადგილებზე (სკოლებში) ჩატარებულმა შემოწმებამ ნათელჰყო, რომ მასწავლებლობა ლიბერალურად აფასებს მოწაფეთა ცოდნას. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: თბილისის მე-15 სკოლაში შემოწმებულ იქნა ქართულ ენაში 12 მოწაფის წერითი შრომა, რომელიც მასწავლებლის მიერ შეფასებული იყო ფრიადზე. ნამდვილად კი ფრიადზე დაწერილი აღმოჩნდა მხოლოდ 2 შრომა, კარგზე — 7, საშუ

მწერალთა აქტივის კრება

საქ. მწერალთა სასახლეში ამხ. აკ. თაყაიშვილის მოხსენების ირგვლივ ორი დღეა გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ფართოდ გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. 7 და 8 მაისს გამოსულ მწერალთა უმრავლესობას არაფერი უთქვამთ როგორც თავიანთი, ისე მწერალთა კავშირის მუშაობის არსებულ ნაკლზე.

7 მაისს მწერალთა კავშირის ლიტფონდის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ დ. სულაშვილმა ილაპარაკა უმთავრესად ლიტფონდის მტკივნეულ საკითხებზე და ამ უსმგავსობაზე, რომელსაც ადგილ ჰქონდა ამ ორგანიზაციაში. ლიტფონდის სახსრები ჭაობივით კომბინატორმა დ. წერეთელმა, მაგრამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დ. სულაშვილის გამოსვლამ მაინც გაკვირვება გამოიწვია, თუ რატომ არ გამომეცავნდა წერეთლის კომბინაციები დღემდე, რატომ არ გაუწიეს მას რევიზია და თავის დროზე არ ამხილეს.

შემდეგ ამხ. ს. მთვარაძემ ილაპარაკა დრამატურგთა სექციის სუსტ მხარეებზე. ამხ. ნ. მიწიშვილი ვრცლად შეჩერდა თეალთმაქც მ. ტოროშელიძის დამანგრეველ მუშაობაზე. მიწიშვილი შეეხო მწერალთა კავშირის მიმდინარე მუშაობას და აღნიშნა, რომ აკ. თაყაიშვილის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მწერალთა კავშირის კონკრეტულ საკითხებს, არ არის სრული და დამაკმაყოფილებელი.

ამხ. კ. ბობოხიძემ და ი. ლისაშვილმა ილაპარაკეს კონტრრევოლუციონერ ტოროშელიძის მავნებლურ მუშაობაზე. ორდენოსანი მწერალი მ. ჯავახიშვილი ვრცლად შეჩერდა თავის შემოქმედებითს მუშაობაზე, რის შემდეგ ილაპარაკა ლიტფონდზე და შეეხო დ. სულაშვილის გამოსვლას.

○

8 მაისს კამათზე პირველად გამოვიდა ამხ. გასო გორგაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხ. აკ. თაყაიშვილის მოხსენებამ მოგვცა მწერალთა ორგანიზაციის მუშაობაზე ნათელი წარმოდგენა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მწერალთა კავშირის მუშაობას მრავალი ნაკლი ახლავს, ხალხის მტერი ტოროშელიძე მაჯლაჯუნასავით ეწვა მწერალთა კავშირს და თავის აგენტებთან ერთად ეწეოდა დამანგრეველ მუშაობას, ცდილობდა ქართველი მწერლების დაქსაქსვას, მაგრამ ამხ. აკ. თაყაიშვილის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ დროზე შეიტყო მისი ვიცრძნობით ეს საქმიანობა და ამის შემდეგ ვიგრძნობთ მუშაობა. უფრო გაიზარდა შემოქმედებითი მუშაობა. ჭარბა ამისა გორგაძემ თვითკრიტიკის წესით აღიარა ის შეცდომა, რომელიც მან დაუშვა ბ. ბუაჩიძის დავალებით დაწერილ წერილში, ორატორმა გააკრიტიკა რაპპის მუშაობა და შეჩერდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ ბ. ბუაჩიძის წერილზე, რომელიც წამძღვარებული აქვს „კაცია ადამიანის“ რუსულ გამოცემას. ამ წერილში მთელი რიგი უხეში შეცდომებია, მაგრამ მის შესახებ დღემდე არავის არაფერი უთქვამს.

ამხ. დია ჩიანელი შეჩერდა ქუთაისის მწერალთა კავშირის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ჩვენ ვერ ვუწევთ სათანადო ხელმძღვანელობას ახალგაზრდა მწერლებსაო. —ჩვენი ნაწარმოებები ხშირად არ იბეჭდება, არა გვაქვს მუშაობისათვის ნორმალური პირობები, ამბობს ჩიანელი. შემდეგ ეხება ამხ. აკ. თაყაიშვილის მოხსენებას და აღნიშნავს, რომ მომხსენებელმა ვერაფერი სთქვა აჭარის, აფხაზეთის, ოსეთისა და ქუთაისის მწერალთა კავშირის მუშაობაზეო.

საინტერესო იყო ორდენოსანი პოეტის პავლე იაშვილის გამოსვლა. მან ბევრი ილაპარაკა როკორც თავის წარსულზე, ისე მომავალ მუშაობაზე. შემდეგ შეჩერდა ჩვენი ისტორიული წარსულის დამახინჯებაზე ფაქტებზე და აღნიშნა მანსვეტაშვილის მოგონებაში აკაკისა და ილიას ცილისწამებები. იაშვილმა მოითხოვა, რომ საქ. მწერალთა კავშირმა სპეციალურად შეისწავლოს რაპის ნაბოლარების „საჭიმაინობა“.

ამხ. პ. შ. საყვარელიძემ ილაპარაკა გომცემლობა „ფედერაციის“ მუშაობაზე. კარგად გამოვიდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ჩანბა. მან კრებას გააცნო აფხაზი მწერლების მუშაობა და შემდეგ განაცხადა, რომ საქ. მწერალთა კავშირი არ გვიწევს სათანადო ხელმძღვანელობას. — ჩვენ გამოვამჟღავნეთ ტროცკისტები ჩვენს ორგანიზაციაში და შევუდექით შეცდომების გამოსწორებას, ამბობს ჩანბა. ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის და ილიასა და შოთას იუბილესათვის ფართოდ გავშალეთ მუშაობა, გამზადებთ ალმანახებს, ვაწყობთ ლიტერატურულ საღამოებს და სხვ. ჩვენ ვითარგმნით „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ადგილებს და „კაკო ყაჩაღს“.

ამხ. ჩანბას შემდეგ ვამოვიდა ი. მჭედლიშვილი და აჭარის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. პ. ლორია. ამხ. ლორია შეჩერდა თათარაშვილის მოხსენებაზე, ილაპარაკა ქართველი მწერლების ნაწარმოებებზე და კრებას გააცნო აჭარის მწერალთა კავშირის მუშაობა.

○

ამხ. აკ. თაყაიშვილის მოხსენების ირგვლივ კამათი გრძელდება.

გათუშე. აჭარელ ქალთა ტექნიკუმის მოწაფეები სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას. სურათზე: მეორე კურსის ფრიადოსანი ფერიდე აცამბა უმცროსი ჯგუფების მოსწავლეებს კონსტიტუციას უკითხავს.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთვრამეტე ტური

მეთვრამეტე ტურში ყველაზე საყურადღებო კიევის ჩემპიონის კონსტანტინოპოლსკისა და ლენინგრადელი რაუზერის შეხვედრა იყო. ორივე მოწინააღმდეგე ღია პარტიების საუკეთესო მცოდნეები არიან. ორივე, განსაკუთრებით კი რაუზერი ბევრს მუშაობს მეფის პაიკის დაწყების თეორიის დამუშავებაზე. მთელ თავის შემოქმედებას იგი ამის მტკიცებას ანდომებს, რომ თეთრებმა მეფის პაიკის დაწყებით ყოველთვის გამარჯვება უნდა მოიპოვონ. ჯერჯერობით ამას იგი ვერ ახერხებს. მიმდინარე ჩემპიონატში ამ დაწყებით ათი პარტიდან მან მხოლოდ ერთი წააგო, ორი ყაიმით დასრულდა და შვიდი მოიგო. აღსანიშნავია, რომ რაუზერი მხოლოდ 1936 წ. გადასახლდა ლენინგრადში, მანამდე იგი კიევში ცხოვრობდა და თეორიის დამუშავების დროს კონსტანტინოპოლსკისთან ერთად მუშაობდა. სწორედ ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მათს შეხვედრას.

კონსტანტინოპოლსკიმ შავებით კარგანის დაცვა ითამაშა და უკვე მეთვრამეტე სვლაზე პარტიის მოგების შესაძლებლობა მიიღო. შუა თამაშში ხარისხის შეწირვით მას კიდევ ერთხელ ჰქონდა პარტიის მოგების შესაძლებლობა, მაგრამ ვაუგებარი მიზეზის გამო ეს ამ დღეს არ თამაშობდა მისთვის ჩვეული სიზუსტით და დამარცხდა.

ჩემპიონობის უპჭველმა პრეტენდენტმა ლევენფიშმა ფრანგულ პარტიაში საუკეთესოდ ისარგებლა პანოვის შეცდომით და პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

ოსტატურად ჩაატარა ბუდომ თავისი პარტია მაკაღონოვთან და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. თუმცა ბუდომ მაესტროს სახელწოდების მოპოვება ამ ჩემპიონატში ვერ შესძლო, მაგრამ გაიმარჯვა ისეთ მეჭადრაკეებთან, როგორიც არიან: რაგოზინი, მაკაგონოვი, გოგლიძე და ჩეხოვერი, მისი პარტიები მაკაღონოვთან და ჩეხოვერთან ჩემპიონატის საუკეთესო პარტიებს ეკუთვნის.

რაგოზინი ძველი ინდიური დაცვის წინააღმდეგ კასპარიანთან შუა თამაშში წაგებულ მდგომარეობის გამარტივებაზე. მალე მან მოიგო ორი პაიკა და პარტაც.

გოგლიძემ უკვე დებიუტში ახალ იდეურ დაცვაში ჩეხოვერის წინააღმდეგ ბეკად უფრო თავისუფალი მდგომარეობა მიიღო. შუა თამაშში ჩეხოვერი მდგომარეობის გართულების მიზნით წავიდა ხარისხის შეწირვაზე, გოგლიძემ დასაწყისში ხარისხის მოგებას და მოხდენილი სვლებით ჯერ პაიკების მოგების მუქარა შეაქნა და შემდეგ ისე ხარისხი მოიგო. მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ჩეხოვერი იძულებული გახდა დანებებულიყო.

კარგი დებიუტით მიღებული პოზიციური უპირატესობა ბელავენეცის წინააღმდეგ შემდგომი ძლერი თამაშით გაზარდა და პარტია მოგებამდე მიიყვანა.

ილინ-ჟენევსკის ლისიცინის წინააღმდეგ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში დაუშვა მძიმე შეცდომა, წაგო ფიგურა და დამარცხდა.

გადადებული პარტიების დამთავრება

გადადებული პარტიების დამთავრებამ, რაც მოხდა გუშინ, 9 მაისს, უკვე გაშოარკვია, თუ ვინ იქნება ქავშირის 1937 წლის ჩემპიონი. ქულათა რიცხვის მიხედვით, ამ ადგილზე გამოსვლის ყველაზე დიდი შანსები ჰქონდა ლევენფიშს. მისი დაწევის თეორიული შანსები ჰქონდა მხოლოდ რაგოზინს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადადებულ პარტიაში ალატორცევთან გამარჯვებას მიაღწევდა. ეს კი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა სვლას ჩაიწერდა რაგოზინი პარტიის გადადებისას. გამოირკვა, რომ რაგოზინს კარგი სვლა არ ჩაუწერია და უნდა დამარცხებულიყო, რომ ალატორცევს სწორად ეთამაშნა. პარტია ყაიმით დასრულდა. ამრიგად, რაგოზინი ველარ ეწევა ლევენფიშს, რომელსაც პირველობა უკვე უზრუნველყოფილი აქვს.

დანარჩენ პარტიებში ალატორცევმა მოუგო იუდოვიჩს და დამარცხდა პანოვთან.

კასპარიანმა მოუგო პანოვს და წაავა კონსტანტინოპოლსკისთან. ბელავენეცმა მოუგო ილინ-ჟენევსკის.

უკანასკნელი ტურის წინ ჩემპიონატის მდგომარეობა ასეთია:

ლევენფიში+12 ½, კონსტანტინოპოლსკი და რაგოზინი+11, მაკაგონოვი და ბელავენეცი+10 ½, გოგლიძე, რაუზერი და ლისიცინი+10, იუდოვიჩი, რაბინოვიჩი და ბონდარევსკი+9 ½, კაჩი და ალატორცევი+9, პანოვი და ლილიენტალი+8, ილინ-ჟენევსკი და ბუდო+7, ჩეხოვერი და კასპარიანი +6 ½, ებრალიძე+5.

ილია ჭავჭავაძის საღამო მოსკოვში

მოსკოვი, 9 მაისი (საკ. კორ.) საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმმა დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ილია ჭავჭავაძის იუბილეს ჩატარებაში. საბჭოთა მწერლების სახლში მოეწყობა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოზე განზრახულია ბესო ჟღენტის მოხსენება და მოსკოვის თეატრების მსახიობთა გამოსვლა. წაკითხული იქნება ილია ჭავჭავაძის პროზაული ნაწარმოებები და ლექსები.

დიდი თეატრის სოლისტები ბადრიძე და გოცირიძე შეასრულებენ რომანსებს ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან და ქართულ ხალხურ სიმღერებს. საბჭოთა მწერლების კავშირი ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებისათვის თბილისში გზავნის თავის წარმომადგენელს.

◇

იშვიათი ღებგრძელობა

ტყიბული, 9 მაისი (საქკავი). ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში ცხოვრობს 125 წლის ბებოთა ნოსელიძე. მას ჰყავს 6 ვაჟიშვილი და ქალიშვილი, ყველანი ცოცხლები არიან. ბებოთა შთამომავლობა შეადგენს 55 კაცს.

თვითონ ბებოთა ნოსელიძე თავს მშვენიერად ჰგრძნობს, მუშაობს მეურნეობაში, უვლის ბოსტანს. მას მშვენიერი მხედველობა აქვს; მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი არ ხმარობს სათვალეს. ბებოთა ნოსელიძეს იციან ბევრი ზღაპარი, ლექსები, გადმოცემანი. კარგად ახსოვს ბატონყმობის დრო და ახალგაზრდებს ხშირად უამბობს წარსულის მოგონებებს.



14 მაისს თბილისში იწყება საბჭოთა კავშირის პირველობის ჯგუფთაშორისო კრებები (მსუბუქი და მძიმე წონა). სურათზე — საბჭოთა კავშირის ერთერთი საუკეთესო მოკრივე ნოვოსარდოვი (თბილისი) ვარჯიშობის დროს.

ფოტო ბუდუშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ნეკროლოგი

აკაკი ბაბალოვი

მოულოდნელად გარდაიცვალა პრომეთეს გმირი, პროფესორი აკაკი ბაბალოვი. 1882 წელს [illegible] დაამთავრა მოსკოვის ყოფილი ტექნიკური სასწავლებელი და მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის სახელწოდება. მან დაიწყო მუშაობა მოსკოვის ქალაქის სამმართველოში. შემდეგ ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეუდგა ვიტლივ მუშაობდა კიევში გადასახლებამდე



(1907 წ.). ამ ხნის განმავლობაში მისი საქმიანობა ხასიათდება პედაგოგიური (რკინიგზის ტექნ. სასწ.). საზოგადოებრივი (ქალაქის საბჭოს ბრძანება 1893 წლიდან) და ტექნიკური (წყალსადენის დაპროექტება) მონაწილეობა მუშაობით.

1907-1911 წ. ა. ბაბალოვი პროფესორ ს. პ. ტიმოშენკოს ხელმძღვანელობით მუშაობდა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ ლაბორატორიაში. 1911 წ. ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ქალაქის გამგეობის წევრად. ამავე დროს კითხულობს ლექციებს ქალაქის უმაღლეს კურსებზე.

1917 წელს ბაბალოვი იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საორგანიზაციო კომისიის წევრი. 1919 წელს ირჩევა სერგოს-ძე ბაბალოვი იყო თანმიმდევრობით მასწავლებელი, დოცენტი (1920 წ.) და პროფესორი (1927 წ.) საქ. სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საქართველოს უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლების დაარსების ყველაზე მძიმე პერიოდში პროფ. ა. ს. ბაბალოვი ყოველთვის თავის პოსტზე იდგა და ენერგიულად იბრძოდა სიძნელეების წინააღმდეგ.

სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ენერგიული საზოგადოებრივი მოღვაწე და საქ. უმაღლესი ტექნიკური განათლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი.

კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის და თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორები: კ. ზავრიევი, ე. პეტკევიჩი, ნ. აკინფიევი, გ. მუხაძე, ა. ბენაშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. დებულაძე, გ. გიდევანიშვილი. ტერ-ხაჩატუროვი, ბ. ლუნიკოვი.

◇

პარტკალენდარი

დღეს, 10 მაისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში მცირერიცხოვანი ორგანიზაციების აგიტატორებისათვის შესდგება კონსულტაცია თემაზე: „მემარჯვენე გარეწრები — კაპიტალიზმის რესტავრაციის დამცველები“.

○

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნომუშის პარტ. ბილეთი № 1513915, გაცემული ქობულეთის რაიკომის მიერ შალვა ივანეს-ძე ლიფთარის სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი
ა ც ხ ა დ ე ბ ს,

რომ საქართველოს სსრ ფერიგორიაზე, ა.-წ. 10 მაისიდან დაწყებული, იწარმოებს ძველი ნიმუშის სახელმწიფო ნომერ-ნიშნებისა და საავტომობილო მართვის მოწმობების გამოცვლა ახალი ნიმუშის ტექნიკურ პასპორტებზე და სანომრო ნიშნებზე.

ახალი ნიმუშის ნომერ-ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების გაცემა იწარმოებს შემდეგ პუნქტებში და ქვემოთ მოყვანილ დღეებში:

1. მუშ.-გლ. მილიციის სამმართველოს ქუჩ. მოძრ. მომწესრ. განყოფილებაში, ქ. თბილისში, მჭალობლიშვილის ქუჩა № 3—ქალ. თბილისში და თბილისის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ახმეტის, წალკის, ბაშკირეთის, ლუსმპურგის, ყარაიასა და საგარეჯოს რაიონებში არსებული მანქანებისათვის 10 მაისიდან 10 აგვისტომდე.

2. ნინოწმის რაიმილიციის განყოფილებაში — ნინოწმის, ლაგოდეხისა და ყვარყვანის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 25 მაისიდან 5 ივლისამდე.

3. თელავის რაიმილიციის განყოფილებაში — თელავის და ყვარლის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 10 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

4. გორის რაიმილიციის განყოფილებაში—გორის, კასპისა და ხაშურის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 20 მაისიდან 25 ივნისამდე.

5. ბორჯომის რაიმილიციის განყოფილებაში — ბორჯომის, ახალქალაქის, ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 25 მაისიდან 15 ივლისამდე.

6. მილიციის ქუთაისის საქალაქო განყოფილებაში—ქუთაისის, ქვემო-სვანეთის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, ბაღდათისა და ტყიბულის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 25 მაისიდან 15 ივლისამდე.

7. ჯუღელის რაიმილიციის განყოფილებაში — ჯუღელის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 20 ივნისიდან 5 ივლისამდე.

8. სამტრედიის რაიმილიციის განყოფილებაში — სამტრედიის, ვანის, წულუკიძისა და ლანჩხუთის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე.

9. მახარაძის რაიმილიციის განყოფილებაში — მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 5 ივნისიდან 5 ივლისამდე.

10. ზუგდიდის რაიმილიციის განყოფილებაში — ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუსა და ზემო-სვანეთის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 20 მაისიდან 1 ივლისამდე.

11. ცხაკაიას რაიმილიციის განყოფილებაში — ცხაკაიას. გეგეჭკორისა და აბაშის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე.

12. მილიციის ფოთის საქალაქო განყოფილებაში — ქალ. ფოთში არსებული მანქანებისათვის 5 ივლისიდან 15 ივლისამდე.

13. აჭარის ასსრ მუშ.-გლ. მილ. სამმართველოში—აჭარის ასსრ-ში არსებული მანქანებისათვის 15 მაისიდან 15 ივლისამდე.

14. აფხაზეთის ასსრ მუშ.-გლ. მილ. სამმართველოში — ქ. სოხუმში და სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 15 მაისიდან 20 ივლისამდე.

15. გაგრის რაიმილიციის განყოფილებაში—გაგრისა და გუდაუთის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 15 მაისიდან 5 ივლისამდე.

16. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშ.-გლ. მილ. სამმართველოში—ქალ. ცხინვალში და ჯავის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონებში არსებული მანქანებისათვის 30 ივნისიდან 20 ივლისამდე.

ახალი ნიმუშის ნომერ-ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების მიღებისას ავტომობილების, გამწევების, რეზინის სასვლელიანი სატრანსპორტო ტრაქტორების, ავტომობილთა მისამძღოლებისა და მოტოციკლების მფლობელნი ვალდებული არიან:

1. აჭონონ თავისთან ცნობები საუწყებო კუთვნილების აღნიშვნით და იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელიც მფლობს სატრანსპორტო საშუალებებს, მანქანის მფლობელისა და ჯარაჟ-სადგომის მისამართი, ტელეფონების ნომრები, აგრეთვე ცნობები ტექნიკური პასპორტის მიღების მომენტისათვის მანქანის მიერ გავლილი კილომეტრაჟის შესახებ.

2. მიიყვანონ საალრიცხვო პუნქტზე ზემოთაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებანი ტექნიკური დათვალიერების მოსახდენათ ზემოთ აღნიშნულ ვადებში.

შენიშვნა: იმ მანქანებზე, რომლებიც ახლო ნიმუშის ნომერ-ნიშნების მიღების მომენტისათვის რემონტში დგანან, მანქანის მფლობელი ვალდებულია საამისო განცხადება შეიტანოს.

3. ჩააბარონ ძველი ნიმუშის ნომერ-ნიშნები და საალრიცხვო ბილეთები.

შენიშვნა: იმ ავტო-მეურნეობებში, სადაც 10 და მეტი მანქანა მოიპოვება, ნომერ-ნიშნებისა და საალრიცხვო ბილეთების გამოცვლა იწარმოებს ჯამურად ავტო-მეურნეობებში.

4. ის მანქანები, რომლებზედაც ზემოთ აღნიშნულ ვადებში წარადგენილი არ იქნება ნომერ-ნიშნები და ტექნიკური პასპორტები, დაშვებული არ იქნებიან შემდგომ ექსპლოატაციისათვის.

5. ახალი ნიმუშის წინა და უკანა ნომერ-ნიშნები გაზ-აა, გაზ-პიკაპ, ზის-5, იაგ-4 ავტომობილებზე და გაზ ა ავტომობილის წინა ნომერ-ნიშანი დამაგრებულ იქნას ძველ (კონსტრუქციის მიხედვით) კრონშტეინებზე.

გაზ ა ავტომობილის უკანა ნომერ-ნიშანი დამაგრებულ იქნას ძველ (კონსტრუქციის მიხედვით) კრონშტეინზე, რომელიც წინასწარ მობრუნებულ უნდა იქნას ფანარებთან ერთად 180°-ით, ამასთან კრონშტეინსა და უკანა ფანარს შორის გაკეთებული უნდა იქნას 6 მმ სისქის შუასადები.

მფლობელთა მოვალეობანი ავტომოგზაობის, მოტოციკლეტებზე გამგზავრებების და ტრანსპორტო ტრაქტორებისა და მისაბმელების არიცხვის დარგში

1. ყველა დაწესებულებები, ორგანიზაციები და ცალკეული პირები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ მუშ.-გლეხ. მილიციის სათანადო განყოფილებებში მათი კუთვნილი ავტომობილები, გამწევები, რეზინის სასვლელიანი სატრანსპორტო ტრაქტორები, მისაბმელები და მოტოციკლები 48 საათის განმავლობაში მათი მიღების მომენტიდან.

2. ნომერ-ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების მისაღებად იმ მანქანებისათვის, რომლებიც მოდის მფლობელის მისამართით სსრ კავშირის საავტომობილო ქარხნებიდან, მფლობელი წარუდგენს მილიციის სათანადო რაიონულ განყოფილებასთან არსებულ საალრიცხვო პუნქტს ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტს განცხადებით მანქანის აღრიცხვაზე აღების შესახებ.

3. ნომერ-ნიშნების მისაღებად იმ მანქანებისათვის, რომლებიც მოდის სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან, მანქანის მფლობელი ვალდებულია შეიტანოს განცხადება მანქანის აღრიცხვაზე აღების შესახებ მანქანის ტექნიკური პასპორტის წარდგენით.

შენიშვნა 2 და 3 პუნქტებისათვის: ნაცვლად დაკარგული ან გაფუჭებული ნომერ-ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტებისა გაიცემა არა დუბლიკატები, არამედ მორიგი ნომერ-ნიშნები და ტექნიკური პასპორტები, დაბნაშავე პირთაგან ამ მანეთამდე ჯარიმის გადახდევინებით.

4. მანქანის ხელახალი რეგისტრაციისათვის იმ შემთხვევებში:

ა) როდესაც იცვლება მფლობელი ან მისი მისამართი, ანდა გაიაფი-სადგომი,

ბ) როდესაც მანქანა გადაკეთდება ერთი ტიპიდან მეორედ (მაგალითად ზაფირთო — ცისტერნად ან ავტობუსად, მუხუთი — სატვირთოდ და სხვ.), მფლობელთ შეჰქვთ განცხადება სათანადო საალრიცხვო პუნქტში მანქანის ტექნიკური პასპორტის თანდართვით.

5. ზემოთაღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა (ჯარაჟ მისაბმელებისა, რომლებზედაც ტექნიკური პასპორტები არ გაიცემა) მფლობელნი ვალდებული არიან სრულად შეავსონ ცნობები ტექნიკური პასპორტის VI, VII და VIII კარის მიხედვით.

6. იმ შემთხვევებში, როდესაც მანქანა გადასროლილი იქნება სხვა რაიონში, რესპუბლიკაში, მხარესა ან ოლქში, მანქანის მფლობელი ვალდებულია შეიტანოს განცხადება მანქანის გაგზავნის ადგილის აღნიშვნით და წარუდგინონ ტექნიკური პასპორტი მასზე აღნიშვნის გასაკეთებლად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში როდესაც მანქანა გადასროლილი იქნება რესპუბლიკის მეორე რაიონში ერთ თვემდე ვადით, მფლობელი ვალდებულია წერილობითი ცნობის ან სათანადო საალრიცხვო პუნქტს.

7. მანქანის გადაკეთება ერთი ტიპიდან მეორედ სწარმოების მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მუშ.-გლეხ. მილ. სამმართველოს სახელმწიფო ავტო-ინსპექციის წერილობითი ნებართვა.

8. ავტო-მეურნეობების მიერ მანქანების წუნდება სანქციონირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის სახელმწიფო ავტო-ინსპექტორის მიერ.

9. ყველა სატვირთო მანქანაზე, გარდა საქალაქო ნომერ-ნიშნებისა, წარწერილი უნდა იყოს თვითი სადებავით ორგანიზაციის სახელწოდება და მანქანის ტონაჟი ძარის ორივე მხარეზე და ძარის უკანა კედელზე წარწერილი უნდა იყოს სახელმწიფო ნომერ-ნიშანი.

10. წარწერათა სიდიდე შემდეგი უნდა იყოს: ასოების სიმაღლე 20 სმ, ასოების სიგანე 3 სმ, ამ წრის გარედამეტრი. რომელშიაც აღინიშნება მანქანის ტონაჟი, 40 სმ, მისი შიდადიამეტრი 36 სმ, ციფრების სიმაღლე 30 სმ

წერა თავსდება მანქანის ორივე მხარეზე წამყვანის კაბინასთან.

წარწერები კეთდება ძარის მარჯვენა მხარეზე რუსულ ენაზე, ხოლო მარცხენა მხარეზე — ქართულზე, მანქანის სვლის მიხედვით.

წარწერის შრიფტი ორივე ენაზე ბეჭდური უნდა იყოს.

ნომერ-ნიშნების ციფრების სიდიდე იგივეა, რაც ძარის წარწერებზე.

აღრიცხვის დარგში მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში, „სსრ კავშირის შინახკომის მუშ.-გლეხ. მილ. მთავარ სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დებულების“ საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 3 ივლისის დადგენილებით № 1182, — დანაშაულ პირებს ადმხებებათ პერსონალური ჯარიმა 300 მანეთამდე.

აღრიცხვის დარგში მოვალეობათა დარღვევის ან უხეშ დარღვევის შემთხვევაში კი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ჯარიმების გადახდა დაწესებულებების, ორგანიზაციების ან საწარმოების ხარჯზე, დამნაშავენი მიეცემიან იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 68 და სხვა მუხლების ძალით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისარი

გოგლიძე

საქართველოს სსრ მუშ.-გლ. მილ. სამმართველოს უფროსი სახელმწიფო უშიშროების მაიორი წერეთელი

37

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“ აცნობებს

ყველა იმათ, ვინც წინათ მუშაობდა გამომცემლობაში და რაიმე მიზეზით არ მიუღია მე-2 ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვების) და წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციები—გამოცხადდეს გამომცემლობის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა ორჯონიკიძის სახელობის რაიშემნაზეელ სალაროში № 3525 წარსადგენად, რათა იქ მიიღონ უკანასკნელი სესხის ობლიგაციები და წინანდელ მასობრივ სესხთა გადასაცვლელი ობლიგაციები. სესხმფლობელნი, რომელთაც ხელზე ობლიგაციები არ ეჭნებათ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

ვინც მე 2 ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვების) თავის ობლიგაციებს არ მიიღებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე, აგრეთვე ვინც წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციებს 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე არ გადასცვლის, ამ ვადების შემდეგ სავსებით ჰკარგავს მათი მიღების უფლებას. 60

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება

1937—38 სასწავლო წლისათვის იწარმოებს შემდეგ

ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე

1. ფიზიკა - მათემატიკის ფაკ.: მათემატიკის, ფიზიკის და მექანიკის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).

2. ქიმიის ფაკულტეტი: ქიმიის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)

3. გეოგრაფია - გეოლოგიის ფაკ.: გეოგრაფიისა და გეოლოგიის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)

4. ბიოლოგიური ფაკულტეტი: ზოოლოგიისა და ბოტანიკის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)

5. ისტორიის ფაკულტეტი: ისტორიის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე).

6. ფილოლოგიური ფაკულტეტი: ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, კავკასიური და აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე)

7. ეკონომიური ფაკულტეტი: საგარეო ვაჭრობის, საგეგმო, საფინანსო და საქონლისმცოდნეობის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე)

8. იურიდიული ფაკულტეტი: იურისტის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)

9. ფიზკულტურის განყოფ.: ფიზიკური კულტურის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)

შენიშვნა: მისაღები გამოცდები ქართულ ენაში (წერითი თხზულება, გრამატიკა და ლიტერატურა) სავალდებულოა. — სათანადო ფაკულტეტების რომ გორც ქართულ, ასე რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის 1-ლ კურსზე მსმენელების მიღება არ იწარმოებს.

განცხადებების და საბუთების მიღება, მათი განხილვა, გამოცდები და ჩარიცხვა იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლების კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესებასთანხმად (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 29-III. 1937 წ.)

განცხადებები და საბუთები გამოგზავნილ უნდა იქნ